დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სადოქტორო პროგრამა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 2024
წლის 14 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი 2025 წლის 6 იანვარი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..... 16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... 23
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა..... 27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... 33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხოსე მარია დე დიოს მარსერი Universitat Autònoma de Barcelona, ესპანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯაყელი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფარეშიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	სამართალი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Law
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართლი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	42 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო- შემოქმედებითი ან/ და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/ შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/ პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს სამართლის სადოქტორო პროგრამისთვის დადგენილ აკადემიურ მოთხოვნებს.
ამ ნაწილში ჩვენ გამოვყოფთ ორ ასპექტს: მისი სტრუქტურის მოკლე მიმოხილვას და ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ 10 უმნიშვნელოვანეს ელემენტს.
პირველ ასპექტთან, მოკლე სტრუქტურულ ხედვასთან დაკავშირებით, პროგრამა წარმოადგენს მყარ და თანმიმდევრულ სტრუქტურას, რომლის მიზანია მოამზადოს მკვლევარი კვლევის მეთოდებსა და მიზნებში, ასევე გაუღრმავოს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული საგნების თანამედროვე ცოდნა.
პროგრამის განვითარება შეესაბამება მისი განმახორციელებელი ცენტრის შესაძლებლობებს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა თანხვედრაშია სამართლის ფაკულტეტებზე ზოგადად არსებულ პროგრამებთან.

ყველაზე აღსანიშნავი ელემენტებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი 10: პროგრამის მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია დოქტორანტების კვლევით მომზადებაზე. სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანი უნდა იყოს კანდიდატების მომზადება ხარისხიანი კვლევისთვის და უნდა მოიცავდეს სწავლებას სამი მიმართულებით: კვლევის სწავლების მიდგომები, მეთოდოლოგია კვლევის სტრუქტურირების შესახებ და შინაარსი, რაც დისერტაციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. შემოთავაზებული პროგრამა აკმაყოფილებს სამივე სასწავლო ელემენტს.
2. პროგრამა ასევე გვთავაზობს სტუდენტების მიერ გასავლელი კრედიტების განვითარებას, მათი განაწილების წესს და იმ საგნებს, რომლებიც თითოეულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს და დააგროვოს კრედიტები, რომლის საშუალებითაც კვალიფიციური კომისიის წინაშე კვლევის დაცვაზე იქნება დაშვებული.
3. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს სტუდენტების კვლევაში მომზადება სურს კრიტიკული აზროვნების განვითარების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ სადოქტორო ნაშრომი არ არის უბრალოდ ელემენტების ჯამი, არამედ სამეცნიერო კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტებისა და მასალების შესწავლის, ანალიზისა და კრიტიკული გააზრების შედეგი.
4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და პროგრამის სასწავლო ნაწილთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებს გარანტირებული აქვთ კვლევითი უნარებისა და კომპეტენციების შეძენა, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება როგორც აკადემიურ კარიერაში, თუ ისინი ამ გზას აირჩევენ, ასევე ნებისმიერ სხვა პროფესიულ სამართლებრივ საქმიანობაში, როგორც ეს დამსაქმებლებმა აღნიშნეს ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს.
5. პროგრამამ გაითვალისწინა დოქტორანტურის საქართველოს სამართლებრივ- სოციალურ საჭიროებებთან დაკავშირების აუცილებლობა. ეს კავშირი მყარდება საჯარო და კერძო ინსტიტუციებთან ურთიერთობებით, რომლებსაც საზოგადოებისთვის შესაბამისი და მნიშვნელოვანი კვლევითი წინადადებების შეთავაზება შეუძლიათ. ეს ასევე აძლიერებს ცოდნის გაცვლას უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის, რაც უნივერსიტეტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.
6. თუმცა, დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ადამიანური და სამართლებრივი ურთიერთობები საერთაშორისო ურთიერთობებითაა დაკავშირებული, აუცილებელია დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია. ეს ინტერნაციონალიზაცია განმტკიცდება სამართლის ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის ურთიერთობებით სხვა ქვეყნების ინსტიტუციებთან, რომლებთანაც უკვე გაფორმებულია შეთანხმებები და იმ ინსტიტუციებთან, რომლებთანაც შეთანხმებები სამომავლოდ შეიძლება გაფორმდეს. ინტერნაციონალიზაციის მოლოდინი სადოქტორო პროგრამების ხარისხის

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

დემონსტრირების მთავარი ელემენტია.

7. ზემოთ აღწერილი ინტერნაციონალიზაცია უნდა მიმდინარეობდეს იმ ინსტრუმენტებთან და უნარებთან ერთად, რომლებიც სტუდენტებს სჭირდებათ ამ ინტერნაციონალიზაციის მისაღწევად. აღნიშნული თვალსაზრისით, უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისური ენის ცოდნა, სამეცნიერო კვლევებისთვის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. დოქტორანტებისთვის ინგლისური ენის მინიმალური ცოდნის მოთხოვნა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს იმისათვის, რომ სტუდენტებმა მოახდინონ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნის ინტეგრაცია კვლევაში.

8.ხაზი უნდა გაესვას სადოქტორო პროგრამასა და სტუდენტების პროფესიონალიზაციას შორის კავშირს. ამგვარად, სამართლის სადოქტორო პროგრამა ინარჩუნებს კვლევის სწავლების მიზანს ისე, რომ არ სცილდება სტუდენტთა პროფესიულ მომავალს. ამ გზით, დამსაქმებლებისა და საჯარო და კერძო ინსტიტუციების კავშირი სადოქტორო პროგრამასთან უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პოტენციურ პროფესიულ შესაძლებლობებს.

9. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტურა უნდა იყოს უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის გაძლიერების ინსტრუმენტი და უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტი ექსპერტებით, რაც სწავლების, კვლევისა და ტრანსფერის ხარისხის გარანტი იქნება. დოქტორანტურა არის იმ მაღალი ხარისხის მომავალი აკადემიური პერსონალის ინტეგრირების გზა, რომელიც საზოგადოებაში უმაღლესი განათლების საფუძველს წარმოადგენს.

10. დასასრულს, ხაზი უნდა გაესვას პროგრამაში უნივერსიტეტის ყველა სფეროს ჩართულობას. გარე და სოციალური ელემენტების გარდა, სადოქტორო პროგრამა მოითხოვს სხვადასხვა სამსახურების მონაწილეობას როგორც ფაკულტეტის ან დეპარტამენტის, ასევე მთელი უნივერსიტეტის მხრიდან, სადაც ის ხორციელდება. ამ თვალსაზრისით, სრულად დადასტურდა კავშირი სამართლის სადოქტორო პროგრამასა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს, სტუდენტების ზეპირი და წერილობითი გამოხატვის და საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის სამსახურებს (ბიბლიოთეკები და ა.შ.) შორის. ამ სამსახურებს არსებითი წვლილი შეაქვთ კვლევის ხარისხში და მათი ჩართულობა პროგრამაში უდავოდ აუცილებელია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი პროგრამის შეფასების ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი იყო. ამ მხრივ, უნდა გამოიყოს სამი ძლიერი მხარე:

1. პირველ რიგში, შეხვედრებისა და მონაწილეების შერჩევა. შეხვედრების თემატიკისა და მონაწილეების შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანი იყო სადავო საკითხების და გარკვეული ცნებების დასაზუსტებლად. ექსპერტთა ჯგუფს საკმარისი დრო ჰქონდა იმ პირებთან გასაუბრებისთვის, ვინც გარკვეულწილად დაკავშირებული იყო სამართლის სადოქტორო პროგრამასთან, რამაც მათ საშუალება მისცა უფრო რეალურად და ახლოს დაენახა როგორც პროგრამის მიზნები, ასევე მისი განხორციელებისთვის გასავლელი განვითარების გზები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომლის დროსაც ექსპერტთა ჯგუფმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღო პროგრამის მიზნების, მისი განხორციელებისა და სტუდენტების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

2. მეორე, აღსანიშნავია გასაუბრებების მონაწილეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი. ჩატარებული გასაუბრებები გამოირჩეოდა ორი ძირითადი ელემენტით: პროგრამის ცოდნა და ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მაღალი დონის სამართლის მკვლევრების უზრუნველყოფის საჭიროება. ასევე აღსანიშნავია გასაუბრებების ყველა მონაწილის ვალდებულება თავად სადოქტორო პროგრამის განხორციელების მიმართ. როგორც შიდა სამსახურების, ასევე გარე მონაწილეების ვალდებულებაც ნათელი და ზუსტი იყო.

3. დასასრულს, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ფაკულტეტის ის სერვისები, სადაც სადოქტორო პროგრამა ხორციელდება. როგორც ბიბლიოთეკა, ასევე აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო ელემენტებითა და კვალიფიციური პერსონალით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს კვლევის განსავითარებლად საჭირო რესურსებით, სწავლებითა და ინფორმაციით .

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შეესაბამება როგორც საქართველოს, ასევე უნივერსიტეტის რეგულაციებს. სადოქტორო პროგრამის სხვადასხვა ასპექტებსა და რეგულაციებში გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობა უმაღლესი განათლების შესახებ და თავად უნივერსიტეტის რეგულაციები.

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1.1

რეკომენდებულია ინფორმაციის გაუმჯობესება ორ ასპექტში: ასისტენტობის კრედიტები(დაზუსტება იმისა, რომ ეს არის არაანაზღაურებადი აკადემიური საქმიანობა) და პროგრამაში ინგლისური ენის გამოყენება(ინფორმირება იმის თაობაზე თუ რა ენაზე იწერება დისერტაცია, რადგან ინგლისური ენის, როგორც სამუშაო ენის გამოყენება განსხვავდება ინგლისური ენის, როგორც კვლევის ენის გამოყენებისგან)..

სტანდარტი 2.4

სასწავლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტისთვის - „ასისტენობა“ (12 კრედიტი) რეკომენდებულია სილაბუსების შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება 100–ქულიანი შეფასების პირობები.

სტანდარტი 4.2

- რეკომენდებულია, აცნობოთ თანახელმძღვანელებს პროგრამით გათვალისწინებულ სიაში მათი ჩართვის შესახებ. სასურველი იქნებოდა, რომ პროგრამის წარდგენამდე ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს ეცნობებინათ თანახელმძღვანელებისთვის წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში მათი ჩართვის შესახებ.

- უნდა აღინიშნოს პროგრამაში არსებული შეუსაბამობა, რომელიც გამოსასწორებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში ემერიტუს პროფესორები მოხსენიებულნი არიან, როგორც საბოლოო სამეცნიერო ხელმძღვანელები, 3.2. პუნქტში, რომელიც ასევე ეხება კვალიფიციურ ხელმძღვანელებს, ემერიტუს პროფესორები ნახსენები არ არიან. ჩვენი რეკომენდაციით, სასურველია მოხდეს ამ ორი პუნქტის კოორდინაცია და ამ მხრივ ერთი კრიტერიუმის ჩამოყალიბება. ეს შეუსამაბობა უნდა გამოსწორდეს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

კომპონენტი 1.2

- სასურველია, პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სადოქტორო კვლევებში ტექნოლოგიების სათანადო გამოყენებას.

  სასურველია, სამართლის კვლევის მეთოდების მოდულში დაემატოს სპეციალური თემა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების შესახებ.

კომპონენტი 1.3

- სასურველია, დაინერგოს პროგრამის განახლებისა და გაუმჯობესების ზომები, რათა იგი ადვილად მოერგოს თავად პროგრამის ახალ საჭიროებებსა და გამოწვევებს, ასევე სწავლებისა და კვლევის ახალ მოდელებს.

  სასურველია, გადაიჭრას გამოვლენილი უზუსტობა სამიზნე ნიშნულებსა და სწავლის შედეგების გაზომვას შორის, თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა სამიზნე ნიშნულებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრებების დაზუსტება და განახლება.

კომპონენტი 1.4

- მსგავსად "საერთაშორისო" დისერტაციაზე მუშაობაში კვლევის პროცესის ხელმძღვანელად უცხოელი ექსპერტების ჩართულობისა, სასურველი იქნებოდა განხილულიყო სამომავლოდ ასევე უცხოური სასწავლო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა და მისი არჩევით კრედიტებად აღიარება. შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს 42 კრედიტის შემადგენლობის უფრო მოქნილად განსაზღვრა, რათა შესაძლებელი გახდეს ალტერნატიული სასწავლო ვარიანტების დაშვება.

  სასურველია გაფორმდეს დოქტორანტების მომზადებისთვის საჭირო შეთანხმებები უცხოურ უნივერსიტეტთან რეგულარული (მაგ. ყოველ ორ წელიწადში) ერთობლივი პირისპირ სემინარების (მაგ. ორდღიანი) ორგანიზებისთვის, სადაც თითოეული უნივერსიტეტის სტუდენტს თავისი კვლევების, პროგრესისა და ეჭვების წარდგენის შესაძლებლობა ექნება ორივე ინსტიტუციის ექსპერტთა ერთობლივი კომიტეტის წინაშე.

  სასურველია, დაზუსტდეს დოქტორანტების მიერ განსახორციელებელი პუბლიკაცია აუცილებლად უნდა იყოს თუ არა დაკავშირებული მათი სადოქტორო დისერტაციის თემასთან, თუ მათ შეუძლიათ გამოაქვეყნონ სტატიები სხვა, კვლევასთან მეტ- ნაკლებად დაკავშირებულ საკითხებზე.

კომპონენტი 1.5

- სასურველია, გაუმჯობესდეს სამართლის კვლევის მეთოდების კურსის შინაარსი; მოხდეს მისი ადაპტირება თანამედროვე საჭიროებებსა და კვლევის მეთოდების განვითარებასთან.

კომპონენტი 2.3

- სასურველია, უფრო თვალსაჩინო გახდეს კავშირი სამართლებრივი კვლევის მიდგომებისა და ინსტრუმენტების თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკულ მომზადებას შორის. ეს არის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რომელსაც მკვეთრად დადებითი წვლილი შეაქვს სტუდენტების სამეცნიერო მომზადებაში. ძალიან რელევანტური

იქნებოდა გარკვეული ტექსტი, რომელიც ამ ურთიერთკავშირს წარმოაჩენდა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა მომავალი სტუდენტებისთვის, ვინაიდან არსებით ინფორმაციას მიაწოდებდა პროგრამის სასწავლო სარგებლისა და სწავლებისა და სწავლის მეთოდებს შორის კარგი ბალანსის შესახებ.

კომპონენტი 5.2

- სასურველია გარე ექსპერტების რეგულარული ჩართულობის შემოღება, რაც უზრუნველყოფს მიმდინარე, მრავალფეროვან შეხედულებებს, რომლებიც დაეხმარება პროგრამებს დარგის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის შენარჩუნებაში.

კომპონენტი 5.3

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის ეფექტურობის გასაძლიერებლად, სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა. ეს პარტნიორობა ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების უფრო დროულ იდენტიფიცირებასა და გადაჭრას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ჩვენ ძალიან დადებითად ვაფასებთ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას აკრედიტაციის პროგრამასთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, ის ზოგადად შეესაბამება შემოთავაზებულ დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ 1.1 კომპონენტში შესაძლოა სასურველი ყოფილიყო მეტი აქცენტის გაკეთება ასისტენტობის საქმიანობაში არსებულ თავისუფალ აკადემიურ აქტივობაზე (რომლის მაფორმირებელ მნიშვნელობაშიც ჩვენ არცერთ მომენტში არ გვეპარება ეჭვი), და იმის დაზუსტება, არის თუ არა ინგლისური ენის მოთხოვნილი დონე იგივე, როდესაც დისერტაცია სრულდება ამ ენაზე, ან როდესაც ის სრულდება ქართულად და ინგლისური ენა მხოლოდ აუცილებელი ღირებულებაა კვლევისთვის და დისერტაციისთვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოძიებისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მოსაზრება არანაირად არ აკნინებს ან არ აყენებს ეჭვქვეშ აქტივობის მიზანშეწონილობას და ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას. შესაბამისად, 1.1 კომპონენტთან დაკავშირებით გაკეთებული არგუმენტაცია სრულიად მისაღებია.

4.2 კომპონენტთან დაკავშირებით, ჩვენ ძალიან დადებითად ვაფასებთ სადოქტორო პროგრამაში თანამშრომლობის შესახებ თითოეულ უცხოელ თანახელმძღვანელთან კომუნიკაციას. ეს კომუნიკაცია აგვარებს ნებისმიერ ეჭვს, რაც შეიძლება ამ მხრივ წარმოიშვას და სრულად შეესაბამება შეფასებული პროგრამის მიზანს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. სამართლის სადოქტორო პროგრამას აქვს ნათლად დადგენილი მიზანი, რომელიც ეფუძნება ქართული საზოგადოებისთვის საინტერესო სფეროებში სადოქტორო დისერტაციების შესრულებას. ხაზი უნდა გაესვას პროგრამის ადაპტირებას იმ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის რეალობასა და შესაძლებლობებთან, სადაც ის არის რეგისტრირებული. შეთავაზებული ადგილების რაოდენობისა და დისერტაციების განვითარებისთვის წარმოდგენილი თემების სფეროების თვალსაზრისით, ისინი შეესაბამება ფაკულტეტის შესაძლებლობებს. ეს გარემოება სრულყოფილად აჩვენებს პროგრამის სიცოცხლისუნარიანობასა და კვლევის ეფექტურობას. საერთო ჯამში, შეთავაზებული პროგრამა სრულად განხორციელებადია და შეესაბამება როგორც საზოგადოებას, ასევე მისი უნივერსიტეტის შესაძლებლობებს.

განსაზღვრების თვალსაზრისით, პროგრამა საკუთარ მიზნებს სამ კატეგორიად აყალიბებს:

1. ორგანიზაციული
2. აკადემიური და სასწავლო
3. სოციალურ განვითარებაში წვლილის შეტანა

ორგანიზაციულ დონეზე, პროგრამა

- შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, მიზნებს და სტრატეგიას, სამართლის ფაკულტეტს და მის კვლევით ცენტრებს, ასევე უნივერსიტეტის ზოგად და ტერიტორიულ სამსახურებსა და სტრუქტურებს.
- პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საჯაროობას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ხაზი უნდა გაესვას შეთავაზების ღიაობას, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების სწორ შერჩევას. ეს არის საუკეთესო კვლევის განვითარების გარანტია.
- პროგრამის მიზნებს იზიარებს ყველა მონაწილე, და ეს კარგად გამოჩნდა ჩატარებულ გასაუბრებებში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. ეს ერთობლივი მუშაობა ასევე საფუძველს წარმოადგენს ტრანსვერსალური კვლევისთვის, რომელმაც უდავოდ შეიძლება დიდი საგანმანათლებლო და პრაქტიკული ინტერესი გამოიწვიოს.

აკადემიური და სასწავლო თვალსაზრისით, პროგრამა

- ითვალისწინებს სასწავლო საგნის (სამართალი) სპეციფიკას, პროგრამის დონეს (დოქტორანტურა) და საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც ის განსაზღვრავს და ავითარებს.

- პროგრამა ასევე მიუთითებს და აზუსტებს იმ ცოდნას, კომპეტენციებსა და უნარებს, რომელთა განვითარებას აპირებს შერჩეულ სტუდენტებში. აქ ხაზი უნდა გაესვას როგორც ენობრივ უნარებს, ასევე კვლევისა და ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციის უნარებს. თუმცა, პროგრამამ უნდა გააუმჯობესოს ინფორმაცია ორი მიმართულებით: ასისტენტობის კრედიტები (მისი მიზანი და მონაწილეთა ვალდებულებები) და კვლევის განვითარებაში ინგლისური ენის გამოყენება. ეს ორი ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია ახალი სტუდენტებისთვის, რადგან მათ უნდა ჰქონდეთ სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოეთხოვებათ. პირველ შემთხვევაში, სავალდებულო ასისტენტობის 12 კრედიტის განაწილების საფუძველი საკმარისად არ არის დასაბუთებული. არ ჩანს მჭიდრო კავშირი სადოქტორო პროგრამასთან. არსებული სახით, ამ მოთხოვნამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, სამეცნიერო და კვლევითი მომზადების გარდა დოქტორანტურა უზრუნველყოფს თუ უნდა უზრუნველყოს ასევე სასწავლო საქმიანობა. 12 კრედიტის დასასაბუთებლად უნდა არსებობდეს უფრო მჭიდრო შესაბამისობა სადოქტორო პროგრამისა და ასისტენტობის მიზნებს შორის. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებების დროს ხაზი გაესვა, რომ დოქტორანტურა არის კვლევითი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი შესაძლებლობების გაცნობასა და გაძლიერებას. რაც შეეხება ინგლისურ ენას, ნათელი უნდა იყოს, რა არის ინგლისური ენის ცოდნის მიზანი: დისერტაციის ინგლისურად დაწერა, თუ საკმარისი ცოდნა ინგლისურ ენაზე კვლევის ჩასატარებლად. ეს ძალიან განსხვავებული საკითხებია, რომლებსაც ენობრივი ცოდნის სხვადასხვა დონე სჭირდება, და ამის არ დაზუსტებამ შეიძლება სტუდენტები დააბნიოს.
- პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლების ინტერნაციონალიზაციას, სტუდენტების მომზადებასა და მათი კვლევის მონიტორინგს.

მესამე, სადოქტორო პროგრამის საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით, პროგრამა:

- გეგმავს და განსაზღვრავს კვლევის წვლილს როგორც თავად სამეცნიერო განვითარებაში, ასევე საზოგადოების წინსვლაში
- შექმნილია შრომის ბაზრისა და ქართული სამართლებრივი სისტემის საჭიროებებისა და მოთხოვნების, და მუდმივი საერთაშორისო სამართლებრივი, სამეცნიერო და სოციალური განვითარებების გათვალისწინებით.

პროგრამა ადგენს დოქტორანტებისთვის უწყვეტი სწავლების, სწავლისა და მონიტორინგის სისტემას, რაც უზრუნველყოფს სამი ტიპის სწავლებას:

ა. აკადემიური და პროფესიული სწავლება. ეს სწავლება მიზნად ისახავს როგორც კანდიდატის აკადემიური და სასწავლო მომზადების გაძლიერებას, ასევე კვლევის გავლენას პროფესიულ სფეროსა და ქართულ საზოგადოებაზე.

ბ. ინსტიტუციის (უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის) მიერ ორგანიზებული კურსებისა და აქტივობების მეშვეობით კვლევით საქმიანობაში მომზადება. ეს ძალიან დადებითად მოქმედებს დოქტორანტების უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებაზე. აღნიშნული გაუმჯობესებები აისახება როგორც სწავლების ტრანსვერსალურ ასპექტებში (გაუმჯობესებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ასევე სამეცნიერო ანალიზი და გაგება), ასევე უფრო სპეციფიკურ სფეროებში, როგორიცაა სამართლებრივ მონაცემთა ბაზების გამოყენება, კვლევაში ეთიკური ღირებულებების ინტეგრაცია და დოქტორანტებში კრიტიკული აზროვნების განვითარება.

გ. საგნის სიღრმისეული შესწავლა. ამ სწავლების გადატანა შეიძლება სამომავლო სასწავლო აქტივობებში და ხელს უწყობს კიდეც მეტ ჩართულობას წმინდა აკადემიურის გარდა სხვა პროფესიულ საქმიანობაში. სადოქტორო დისერტაციის მომზადება და ზოგადად სადოქტორო პროგრამა ქმნის იმ საფუძველს, რომელსაც დოქტორანტები სამომავლოდ გამოიყენებენ ნებისმიერი საგნის ანალიტიკურ შესწავლასა და სიღრმისეულ კვლევაში. ისეთი ასპექტები, როგორიცაა კვლევის სტრუქტურა, ორგანიზება, მასალების სათანადო გამოყენება და კრიტიკული ანალიზი არის უნარები, რომლებსაც

სტუდენტები შეიძენენ დისერტაციის განვითარებისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს ჩაუღრმავდნენ თემას და მიიღონ საკუთარი დასკვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამა
- სამართლის სკოლის სტრატეგიული გეგმა
- დამსაქმებლის მიერ სამართლის სადოქტორო პროგრამის შეფასება
- გასაუბრებები დამსაქმებლებთან
- გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ინფორმაციის გაუმჯობესება ორ ასპექტში: ასისტენტობის კრედიტები(დაზუსტება იმისა, რომ ეს არის არაანაზღაურებადი აკადემიური საქმიანობა) და პროგრამაში ინგლისური ენის გამოყენება(ინფორმირება იმის თაობაზე თუ რა ენაზე იწერება დისერტაცია, რადგან ინგლისური ენის, როგორც სამუშაო ენის გამოყენება განსხვავდება ინგლისური ენის, როგორც კვლევის ენის გამოყენებისგან)..

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	X	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამართლის სადოქტორო პროგრამაში მოსალოდნელ და სასურველ შედეგებს. ეს მოლოდინები სრულდება სხვადასხვა დონეზე: პროგრამის შესახებ ინფორმაციისა და ჩარიცხვის დონეზე, სწავლის დონეზე, კვლევისა და კვლევის სწავლის დონეზე და საზოგადოებასთან და მის საჭიროებებთან ურთიერთობის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინგლისური ენის, როგორც კვლევის ინსტრუმენტის და ასისტენტობის კრედიტების შესახებ ინფორმაცია გაუმჯობესებას საჭიროებს, პროგრამა აკმაყოფილებს დასახულ მიზნებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კავშირი სამართლის სადოქტორო პროგრამასა და დამსაქმებლებისა და საზოგადოების საჭიროებებს შორის, რაც უკვე ხაზგასმული იყო

დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს. მეორე მხრივ, კარგად არის განსაზღვრული სწავლების სფეროები და მათი განვითარებისთვის ფაკულტეტის შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით, შეთავაზებული ადგილების რაოდენობა, სფეროები, სადაც შესაძლებელია კვლევის ჩატარება და კვლევის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციების მქონე პედაგოგიური პერსონალის რეალური შესაძლებლობები სრულყოფილად არის განსაზღვრული და, პრინციპში, სრულიად განხორციელებადია.

შესაბამისად, პროგრამა ფოკუსირებულია რამდენიმე ასპექტზე: სამეცნიერო ცოდნის განვითარება, პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების შესაძლებლობები და, ბოლოს, ქართული საზოგადოების სოციალური და სამართლებრივი გაუმჯობესება. ამრიგად, ეს არის არა მხოლოდ სამართლის ფაკულტეტის, არამედ უნივერსიტეტის ყველა იმ სამსახურისა და დეპარტამენტის ვალდებულება, რომელიც ჩართულია სწავლების მართვასა და განვითარებაში.

თუმცა, ამ ხელსაყრელ კონტექსტში, კარგი მომზადების გარდა, სასურველია უნივერსიტეტმა ასწავლოს სტუდენტებს ხელოვნური ინტელექტის სათანადო გამოყენება. დღეს, ხელოვნური ინტელექტის განვითარების გათვალისწინებით, აბსოლუტურად აუცილებელია კვლევით სწავლებაში ეთიკური ელემენტების ჩართვა. ამ ტექნოლოგიის უპირატესობები აშკარაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის შეზღუდვების შესახებ სწავლების უგულებელყოფა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევის ხარისხისა და ავთენტურობის უზრუნველყოფა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ნაშრომი და მისი შედეგები იყოს პირადი რეფლექსიის ნაყოფი, რომელიც ეფუძნება შესწავლილ მასალებსა და მტკიცებულებებს. კვლევა, განსაკუთრებით სამართალთან დაკავშირებული კვლევა, უნდა იყოს შესასწავლი ელემენტების ღრმა და ანალიტიკური გააზრების შედეგი. ამ კვლევის სოციალური გავლენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაექვემდებაროს ან დამოკიდებული იყოს ადამიანის კონტროლს მიღმა არსებულ კვლევებზე. შესაბამისად, ეს ეთიკური სწავლება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ნაშრომის ავთენტურობის გარანტირებისთვის, არამედ სამართლებრივი კვლევებისა და კვლევების სოციალური მნიშვნელობის გამო. ამ მხრივ, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ეს საკითხი და მისი მნიშვნელობა პროგრამის ხარისხისა და მისი განხორციელების შედეგად მიღებული კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად. ეთიკაზე ეს გავლენა ასევე წარმოადგენს პროგრამიდან გამომდინარე თეზისების სწორი კვლევისა და ანალიზის სოციალურ გარანტიას.

როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამა აკმაყოფილებს განსაზღვრულ სწავლის მიზნებს. დამსაქმებლებმა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროგრამა განსაზღვრავს სწავლის მიზნების ორ ტიპს: შინაარსობრივს და უნარებზე დაფუძნებულს (რომელთა კლასიფიცირებაც ასევე შეგვიძლია როგორც სპეციფიკური და ზოგადი).

პირველი ტიპი, შინაარსობრივი ან უფრო სპეციფიკური მიზნები, ფოკუსირებულია ცოდნაზე, რომელსაც დოქტორანტები იძენენ კვლევის საგნის სფეროში. ეს ასპექტი, უპირველეს ყოვლისა, აფასებს დარგების მრავალფეროვნებას სადოქტორო პროგრამის ფარგლებში (საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, კონსტიტუციურობა და ფუნდამენტური უფლებები). გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ღირებულება ენიჭება სტუდენტების შესაძლებლობას, ჩაატარონ თავიანთი კვლევა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს აირჩიონ ორი გზიდან ერთ- ერთი: შიდა ან საერთაშორისო ფოკუსი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, აღსანიშნავი და დასაფასებელია, რომ ამ საერთაშორისო კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობაში ჩართულნი არიან ექსპერტები.

მიზნების მეორე, უნარებზე დაფუძნებული ან უფრო ზოგადი ტიპი, არის საფუძვლიანი სწავლების ნაწილი, რომელიც დოქტორანტურამ და დისერტაციის ან კვლევითი პროექტის მომზადებამ უნდა უზრუნველყოს. ეს პროგრამა ამზადებს სტუდენტებს მოწინავე, მომავალზე ორიენტირებული კვლევისთვის. ამ მხრივ, დამსაქმებლებმა უკვე ხაზი გაუსვეს იმ კომპეტენციების მნიშვნელობას, რომლებსაც ავითარებს როგორც სადოქტორო კურსების ძირითადი აქტივობები და დამატებითი სემინარები, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები/ გაიდლაინები;
- სადისერტაციო საბჭოს წესდება და სამართლის სკოლის დოქტორანტურა;
- დამსაქმებელთა მიერ სამართლის სადოქტორო პროგრამის შეფასება;
- საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის მიმოხილვის დოკუმენტი;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრებები დამსაქმებლებთან;
- გასაუბრებები სტუდენტებთან და სხვა პროგრამის კურსდამთავრებულებთან.
- გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სადოქტორო კვლევებში ტექნოლოგიების სათანადო გამოყენებას.
- სასურველია სამართლის კვლევის მეთოდების მოდულში დაემატოს სპეციალური თემა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა განმარტავს როგორც შეფასების სისტემას, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამა პასუხობს ოთხ ფუნდამენტურ საკითხს და უზრუნველყოფს პროგრამაზე პასუხისმგებელი პირების მომზადებას თვითშეფასების მექანიზმებსა და ინსტრუმენტებში.

რაც შეეხება ოთხ კითხვას, პროგრამა პასუხობს კითხვებს: ვინ, რა, როგორ და როდის.

1. პირველ რიგში, პროგრამა იძლევა პასუხებს იმაზე, თუ ვინ არის პასუხისმგებელი და ვინ მონაწილეობს სწავლის შედეგების შეფასებაში.
2. რაც შეეხება "რას", იგი განმარტავს, თუ რა ექვემდებარება შეფასებას, რა გადის მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს იმ ასპექტებისა და სერვისების მუდმივ ზედამხედველობას,

რომლებიც არსებითია სადოქტორო პროგრამის სათანადო განვითარებისა და წარმატებისთვის.

3. "როგორ"- თან დაკავშირებით გამოიყენება სხვადასხვა საშუალება, როგორიცაა ინტერვიუები, შეხვედრები და სხვა.

4. ბოლოს, რაც შეეხება "როდის", აღნიშნულია, რომ ეს არის მუდმივი და ციკლური შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს ნებისმიერი პრობლემა თუ შეუსაბამობა და დაუყოვნებლივ განხორციელდეს შესაბამისი ზომები.

დოკუმენტაციის განხილვისას გამოვლინდა უზუსტობა, კერძოდ სამიზნე ნიშნულებსა და სწავლის შედეგების გასაზომად შექმნილ კურსებს შორის. ეს შეუსაბამობა უნივერსიტეტმაც დაადასტურა.

თუ შევხედავთ აკრედიტაციის სტანდარტების კრიტერიუმებს, პროგრამა აკმაყოფილებს შეფასების, გამჭვირვალობისა და ინტერნაციონალიზაციის კრიტერიუმებს. უნდა გაუმჯობესდეს კრიტერიუმების განახლება. ამ სფეროში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ

ა. სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ სფეროსთვის დამახასიათებელი პერიოდულობით;

ბ. უზრუნველყოფილია პროგრამის რეგულარული შეფასების სისტემა;

გ. შეფასების პროცესში ჩართულნი არიან გარე დაინტერესებული მხარეები;

დ. პროგრამაში ჩართული ყველა პერსონალი (აკადემიური და არააკადემიური, მოწვეული თუ ადგილობრივი) იცნობს შეფასების მეთოდებს.

სასურველია გაგრძელდეს პროგრამის განახლებისა და გაუმჯობესების შემდგომი განვითარება. თვითშეფასების პროცესებიდან გამომდინარე პროგრამის გაუმჯობესების, მოდიფიცირებისა და განახლების კრიტერიუმები არ არის საკმარისად ნათელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსი/ გაიდლაინები;
- სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წესდება და დოქტორანტურა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შესახებ;
- სადოქტორო პროგრამების შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტი;
- დამსაქმებელთა მიერ სამართლის სადოქტორო პროგრამის შეფასება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელო
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, დაინერგოს პროგრამის განახლებისა და გაუმჯობესების ზომები, რათა იგი ადვილად მოერგოს თავად პროგრამის ახალ საჭიროებებსა და გამოწვევებს, ასევე სწავლებისა და კვლევის ახალ მოდელებს.
- სასურველია, გადაიჭრას გამოვლენილი უზუსტობა სამიზნე ნიშნულებსა და სწავლის შედეგების გაზომვას შორის, თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა სამიზნე ნიშნულებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრებების დაზუსტება და განახლება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი .	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი კარგად არის ორგანიზებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

მთლიანობაში, წარმოდგენილი პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული, თანმიმდევრულია თავისი დაგეგმვითა და დიზაინით და სრულად განხორციელებადია. თანმიმდევრულობა აშკარაა როგორც მის სტრუქტურაში, ისე მის მიერ შეთავაზებული სწავლების განვითარებაში. სწავლა გარანტირებულია და დამკვიდრებულია სამართლის მეცნიერებებში გამოყენებული კვლევის მეთოდების ზოგადი სწავლების სისტემა, ასევე თითოეულ კონკრეტულ კვლევაში სიღრმისეული სწავლების სისტემა.

გარდა ამისა, პროექტი რეალისტურია ორი ასპექტის თვალსაზრისით: ყოველწლიურად მისაღები განაცხადებების რაოდენობა და მასალა, რაზეც სტუდენტებს შეეძლებათ თავიანთი კვლევების ჩატარება.

ამგვარად, შეგვიძლია პროგრამა დავყოთ ორ სფეროდ და გავაანალიზოთ მისი, როგორც სადოქტორო პროგრამის, შესაბამისობა: ორგანიზაციული და აკადემიური.

ორგანიზაციულ სფეროში პროგრამა უზრუნველყოფს სწავლებისთვის მნიშვნელოვან ასპექტებს: კარგი სტრუქტურა და სწორად დალაგებული თანმიმდევრობა; პროგრამაზე მიღების კრიტერიუმების შესახებ სათანადო ინფორმაცია; სწავლებისა და შეფასების კარგი პროგნოზები; სწავლის შედეგების კარგი პროგნოზირება; უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურებს შორის კარგი თანამშრომლობა.

აკადემიურ სფეროში პროგრამა ადგენს თავის სასწავლო მიზნებს, სადოქტორო მოდელს, რომელსაც ის ხელს უწყობს, თანამშრომლობას ქართულ იურიდიულ, სოციალურ და ეკონომიკურ აგენტებთან და მის ურთიერთქმედებას უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის. ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, სასურველია ამ ასპექტის გავრცელება აკადემიურ სწავლებაზეც და უცხოეთში საერთაშორისო სწავლების დაშვება საქართველოში სასწავლო კრედიტების მინიჭებით. ასევე ძალიან სასარგებლო შეიძლება იყოს საერთო სემინარები (პირისპირ ან ონლაინ).

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ საკითხებს, აღსანიშნავია:

პროგრამის მთავარ ძლიერ მხარეს წარმოადგენს კვლევების გამოქვეყნების მოთხოვნა საერთაშორისო

რეცენზირებად თემატურ გამოცემაში ან ჟურნალში. თუმცა, ჩვენი პერსპექტივიდან, სასურველია დაზუსტება, უნდა არსებობდეს თუ არა კავშირი პუბლიკაციის თემასა და სადისერტაციო კვლევის საგანს შორის; მიუხედავად ამისა, პუბლიკაციის ეს მოთხოვნა მეტად დადებითია.

მიუხედავად იმისა, რომ 42 კრედიტის განაწილება მკაფიოდ არის გაწერილი, დადგენილი სისტემა საკმაოდ ხისტია და არ უწყობს ხელს ალტერნატიული სასწავლო ვარიანტების დამატებას. პროგრამაში მოსალოდნელი სტუდენტების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია უცხოური სადოქტორო პროგრამების კურსებიდან ან აქტივობებიდან (იქნება ეს პირისპირ თუ ონლაინ) კრედიტების ჩათვლა. სხვა ვარიანტი შეიძლება იყოს კრედიტების დაგროვება (სულ მცირე არჩევით კომპონენტებში) სხვადასხვა სასწავლო აქტივობების მეშვეობით, რომლებიც ერთობლივად შეადგენენ საჭირო 12 კრედიტს. სტუდენტების შემცირებული რაოდენობით, ეს მიდგომა შესაძლებელს გახდიდა უფრო ინდივიდუალურ სწავლებას, სადოქტორო პროგრამის კომიტეტის ზედამხედველობით.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო კოლოკვიუმების შემოღება და მათზე აქცენტის გაკეთება მეტად დადებითია, გაურკვეველი რჩება რამდენიმე საკითხი: ენიჭება თუ არა ამ კოლოკვიუმებს კრედიტები, წარმოადგენენ თუ არა ისინი სასწავლო კრედიტების ნაწილს, თუ ისინი ცალკე აქტივობად ითვლება, რომელიც, მიუხედავად საგანმანათლებლო ხასიათისა, არ ემატება კრედიტების ჯამს.

ასევე აუცილებელია ასისტენტობის კრედიტების საკითხის განხილვა. რაც შეეხება ამ კრედიტებს, ისინი უფრო მეტად ორიენტირებულია სწავლების, ვიდრე კვლევითი მომზადების ხელშეწყობაზე. შესაძლოა სასარგებლო იყოს იმის ხაზგასმა, რომ ამ სასწავლო საქმიანობაში დოქტორანტებმა უპირველესად ყურადღება პროფესორების ასისტენტობასა და კონკრეტულად მათი კვლევის თემასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებაზე უნდა გაამახვილონ. ეს ფოკუსი გააძლიერებდა დისერტაციის მომზადებისთვის საჭირო კვლევით ძალისხმევას და ამავდროულად წვლილს შეიტანდა მკვლევარის პადაგოგიურ განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები/ გაიდლაინები;
- სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს დებულება და დოქტორანტურა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკა სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტების შეფასების, კრედიტის მინიჭების, რეიტინგის და დამატებითი ან ხელახალი კურსების/ კომპონენტების ანაზღაურების შესახებ
- გასაუბრება პრორექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მსგავსად "საერთაშორისო" დისერტაციაზე მუშაობაში კვლევის პროცესის ხელმძღვანელად უცხოელი ექსპერტების ჩართულობისა, სასურველი იქნებოდა განხილულიყო სამომავლოდ ასევე უცხოური სასწავლო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა და მისი არჩევით კრედიტებად აღიარება. შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს 42 კრედიტის შემადგენლობის უფრო მოქნილად განსაზღვრა, რათა შესაძლებელი გახდეს ალტერნატიული სასწავლო ვარიანტების დაშვება.

- სასურველია გაფორმდეს დოქტორანტების მომზადებისთვის საჭირო შეთანხმებები უცხოურ უნივერსიტეტთან რეგულარული (მაგ. ყოველ ორ წელიწადში) ერთობლივი პირისპირ სემინარების (მაგ. ორდღიანი) ორგანიზებისთვის, სადაც თითოეული უნივერსიტეტის სტუდენტს თავისი კვლევების, პროგრესისა და ეჭვების წარდგენის შესაძლებლობა ექნება ორივე ინსტიტუციის ექსპერტთა ერთობლივი კომიტეტის წინაშე.

- სასურველია, დაზუსტდეს დოქტორანტების მიერ განსახორციელებელი პუბლიკაცია აუცილებლად უნდა იყოს თუ არა დაკავშირებული მათი სადოქტორო დისერტაციის თემასთან, თუ მათ შეუძლიათ გამოაქვეყნონ სტატიები სხვა, კვლევასთან მეტ- ნაკლებად დაკავშირებულ საკითხებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებ ლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაფასებელი სადოქტორო პროგრამა და მისი შემადგენელი კურსები შეესაბამება მიზნებსა და სწავლის შედეგებს. არსებობს თანხვედრა თითოეული კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს, მინიჭებულ კრედიტებსა და თითოეულ კურსში სასწავლო საათების პროპორციას შორის. ასევე აკადემიური და სასწავლო რესურსები და ბიბლიოგრაფია შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს.

თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ სამეცნიერო სწავლასთან დოქტორანტების გაცნობის მნიშვნელობას, სასურველია ზოგიერთი ასპექტის უფრო ღრმად განხილვა.

ამ ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ კურსების მიერ შეთავაზებული შინაარსი შესაბამისობაშია დასახულ მიზნებთან, სასურველია როგორც სამართლის კვლევის მეთოდების კურსის, ისე არჩევითი კომპონენტების აღწერილობის გაუმჯობესება.

სამართლის კვლევის მეთოდების კურსი, სავარაუდოდ, პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კურსია, რადგან ის აცნობს სტუდენტებს თუ რას წარმოადგენს დისერტაცია, სულ

მცირე კვლევითი კომპეტენციების პერსპექტივიდან, ასევე აღრმავებს მათ გაგებას კვლევის მეთოდების შესახებ. ამ კურსის კარგად განვითარებული აღწერილობა უდავოდ იქნებოდა სტუდენტებისა და პროგრამით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის ღირებული ინსტრუმენტი. იგივე უნდა გავრცელდეს არჩევით კურსებზეც.
გარდა ამისა, სასარგებლო იქნებოდა სადოქტორო მომზადებაში ასისტენტობის კომპონენტის მნიშვნელობის დაზუსტება, მისი სწავლების როლის მიღმა. როგორც სხვა ნაწილებში აღინიშნა, სასურველია ასისტენტობის კომპონენტის სასწავლო უპირატესობის მჭიდრო დაკავშირება იმ კონკრეტულ კვლევასთან, რომელსაც თითოეული სტუდენტი ატარებს თავისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები/ გაიდლაინები;
- სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკა სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტების შეფასების, კრედიტის მინიჭების, რეიტინგის და დამატებითი ან ხელახალი კურსების/ კომპონენტების ანაზღაურების შესახებ
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრებების შედეგების ჩათვლით.
- გასაუბრება პრორექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან;
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან;
- გასაუბრება დოქტორანტურის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:
არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაუმჯობესდეს სამართლის კვლევის მეთოდების კურსის შინაარსი; მოხდეს მისი ადაპტირება თანამედროვე საჭიროებებსა და კვლევის მეთოდების განვითარებასთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, პროგრამის დონის სტანდარტულ მოთხოვნებს, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკურ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს, რომ პროგრამაში ჩაერთონ შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურა რეგულირდება სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით (თავი II) ("დებულება"). სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება ენიჭება ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური კვალიფიკაცია, წარმატებით ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის კომპეტენციას, ან ფლობს შესაბამისი დონის ინგლისური ენის სერტიფიკატს, წარადგენს კვლევით წინადადებას და ჩააბარებს ზეპირ გამოცდას. პროგრამაზე დაშვების მოთხოვნების თანახმად, სამართლის სადოქტორო პროგრამაზე მიღება მოიცავს ინსტიტუციურ გამოცდას, რომელიც შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

ეტაპი I: რეგისტრაცია;
ეტაპი II: ინგლისური ენის გამოცდა (გამოიყენება თუ კანდიდატს არ აქვს შესაბამისი დონის ინგლისური ენის სერტიფიკატი);
ეტაპი III: სადოქტორო კვლევითი წინადადების შეფასება; და ეტაპი
IV: ზეპირი გამოცდა დარგობრივ კომისიასთან.

საჭირო დოკუმენტების, პროცედურებისა და ქულების შესახებ ინფორმაცია განსაზღვრულია დებულებითა და პროგრამაზე მიღების მოთხოვნებით. დებულება ასევე განსაზღვრავს პირის მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამაზე მიღების დაგეგმვა შეესაბამება უნივერსიტეტის სტუდენტთა კვოტის დაგეგმვის მექანიზმსა და მეთოდოლოგიას. როგორც თვითშეფასების ანგარიში განსაზღვრავს, "მეთოდოლოგია განსაზღვრავს დასაშვები სტუდენტების რაოდენობას ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა სწავლების საფეხური, სტუდენტების თანაფარდობა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, სტატუსშეჩერებული-სტატუსშეწყვეტილი და სტატუსაღდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებული სტუდენტები და შიდა/გარე მობილობის

რაოდენობრივი მაჩვენებლები".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კვოტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის; არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება				
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.				

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის სადოქტორო პროგრამა შექმნილია სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობისა და ახალი ცოდნის გენერირებისთვის საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის სხვადასხვა სფეროში. სტუდენტების კვლევითი უნარები ვითარდება მთელი პროგრამის განმავლობაში, დაწყებული კვლევით პროექტზე მუშაობით, კვლევის მეთოდებისა და სადოქტორო კოლოკვიუმების სავალდებულო კურსების გავლით და დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის დასრულებით. პროგრამის პირველი წლის განმავლობაში სტუდენტი ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან თანამშრომლობით ავითარებს კვლევით პროექტს, რომელიც შემდგომში წარედგინება და ფასდება დარგობრივი კომისიის მიერ. პროგრამით გათვალისწინებული კურსების გავლის შემდეგ სტუდენტები ასრულებენ სადისერტაციო ნაშრომს. პუბლიკაციაზე მუშაობის მოთხოვნა, უკვე დაცული სადოქტორო კვლევითი პროექტი (პროსპექტუსი) და შეგროვებული ყველა მონაცემი ასევე ემსახურება სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას. გარდა ამისა, სტუდენტს მოეთხოვება დისერტაციის დაცვამდე გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სტატიები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში "Constitutional Law Review", რომელიც ამჟამად ინდექსირებულია EBSCO-ს მონაცემთა ბაზაში და რომელსაც სამართლის სკოლა მართავს. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში სამართლის შესაბამის სფეროებში სკოლის სამი კვლევითი ცენტრიდან ნებისმიერში:

კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრი და მართლმსაჯულების გაძლიერებისა და სამართლებრივი განათლების ცენტრი.

გარდა იმისა, რომ სტუდენტებს უზრუნველყოფს კვლევაზე დაფუძნებული ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, პროგრამა ასევე ითვალისწინებს სასწავლო ასისტენტობას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას სწავლებაში, კერძოდ, სასწავლო კურსის პროფესორთან მუშაობას, კურსის კომპონენტის დამოუკიდებლად განხორციელებას ან/ და ლექცია/ სემინარის კურსის წარმართვას.

შეთანხმებები და მემორანდუმები ეროვნულ პარტნიორებთან, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან და უცხოურ უნივერსიტეტებთან, ქმნის შესაძლებლობებს სტუდენტებისთვის ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და აქტივობებში, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

სტუდენტების საქმიანობის ხელმძღვანელობასა და შეფასებაში ჩართულები არიან მაღალკვალიფიციური ქართველი და უცხოელი პროფესიონალები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- მემორანდუმები.
- კურსის სილაბუსები
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლება-სწავლის მეთოდები განხილულია საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 გვერდზე, სადაც

პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით წარმოდგენილია ისეთი სწავლების მეთოდები, როგორიცაა ლექციები, სემინარები, ხელმძღვანელობა, დემონსტრირება/ პრეზენტაცია, დისკუსია/ დებატები, ანალიზი და თეზისები, ქეისის ანალიზი, ასევე შეიძლება სხვა მეთოდების გამოყენებაც. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი და არჩევითი სასწავლო კომპონენტების (პუნქტები 7 და 9) სილაბუსები შეესაბამება პროგრამაში განსაზღვრულ მეთოდებს. მაგალითად, სადაც სასწავლო კურსი ითვალისწინებს, დოქტორანტი ასრულებს ავტონომიურ დავალებებს, აგროვებს, ახდენს ორგანიზებას, აანალიზებს და აფასებს, მათ შორის ქმნის ახალ დარგობრივ ინფორმაციას (კვლევით კომპონენტებს) და მასალებს (კერძოდ, "კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში, აკადემიური პუბლიკაციისთვის წერა, სამართლის კვლევის მეთოდები და ა.შ.). გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ისეთ კომპონენტს, როგორიც გახლავთ "ასისტენტობა" (იხ. პროგრამის მე-5 გვერდი), რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია დოქტორანტის ჩართულობა სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და კვლევის ასისტენტობას (იხ. ასისტენტობის კონცეფცია). სწავლების პროცესში ასისტენტობისას დოქტორანტი ეხმარება სასწავლო კურსის პროფესორს, დამოუკიდებლად ახორციელებს სასწავლო კურსის კომპონენტს და/ ან ატარებს ლექცია/ სემინარის კურსს. კვლევის ასისტენტობის პროცესში დოქტორანტს შეიძლება მიეცეს უფლება მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორიცაა ლიტერატურის მოძიება, ახალი კვლევითი მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა, შედეგების შეგროვება და ანალიზი, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/ თანახელმძღვანელობა, რეცენზირება და ა.შ.

პროგრამის თვითშეფასებაში და მასზე თანდართულ მასალებში არც ერთი დოკუმენტი არ შეიცავს სადოქტორო დონის სწავლა-სწავლების მეთოდების განმსაზღვრელ მოთხოვნებს. თუმცა, თუ ვიმსჯელებთ ქართულ სამართლის სკოლებში სადოქტორო დონეზე გავრცელებული და დამკვიდრებული სწავლა- სწავლების მეთოდებისა და შესაბამისი დონის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულების მიერ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის სწავლა- სწავლების მეთოდები პასუხობს იმ მიზნებსა და შედეგებს, რომელსაც სტუდენტმა უნდა მიაღწიოს პროგრამაზე სწავლით. ამ მხრივ, სასურველი იქნებოდა სწავლა-სწავლების მეთოდების ყველა ელემენტის განმსაზღვრელი დოკუმენტაციის ერთ დოკუმენტში გაერთიანება, რადგან ეს მეტ სიცხადესა და სიმარტივეს უზრუნველყოფდა ამ ნაწილში. ნათელია, რომ პროგრამა გთავაზობთ შესაბამის პროგრამებსა და სასწავლო მიზნებს, რომლებიც მოიცავს როგორც საბაზისო და თეორიულ სწავლებას სამართლის კვლევაში, რომელსაც თავად უნივერსიტეტის სპეციალიზებული სამსახურები უზრუნველყოფს, ასევე პრაქტიკულ სწავლებას, რომელიც აკრედიტებულ ჟურნალებში სტატიის მომზადებასა და გამოქვეყნებას ეფუძნება. შესაბამისად, ბალანსი სწავლებისა და სწავლის მეთოდებს შორის სწორი და სასურველია, როგორც წარმოდგენილი ელემენტებიდან გამოჩნდა და, უპირველეს ყოვლისა, დადასტურდა პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა სამსახურებთან და პირებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს. თუმცა, სასურველი იქნებოდა ამ ბალანსის უფრო მეტად განვითარება და ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომელიც ყველა ამ ღირებულებას გააერთიანებდა, დააკავშირებდა მათ ერთმანეთთან და მოახდენდა მათ სინთეზს, როგორც პროგრამის ძლიერ ელემენტს.

დაწესებულება ზოგადად და პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი აკადემიური, მოწვეული (კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია იხ. სილაბუსის მე-5 პუნქტი), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით ორიენტირებულია სტუდენტთან თანამშრომლობასა და კვალიფიციური მომსახურების გაწევაზე. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, რომელიც განსაზღვრულია სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების 9.9 მუხლში, მოიცავს რეგულარულ კონსულტაციებს. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და კვლევითი თემის სპეციფიკას.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე, ისწავლოს ინდივიდუალური გეგმით. დაწესებულებაში მოქმედი "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესისა და პროცედურების" მე-4 მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის (გეგმის) შემუშავების შესაძლებლობას. იგი შექმნილია სტუდენტების მრავალფეროვანი მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით, ასევე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის რეგულაციების 8.1 მუხლში მითითებულია, რომ სწავლა ხორციელდება ინდივიდუალური გეგმით, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლების, საგანმანათლებლო პროგრამის, სილაბუსების შინაარსის, სწავლების მეთოდების, თემატური აქტივობების შედარებით და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების მეშვეობით შეიძლება დავინახოთ, რომ დასაქმებული პერსონალი იყენებდა უმაღლესი განათლების მერვე დონისთვის მართებულ მეთოდებს. ისინი იცავდნენ პროგრამის სპეციფიკას (თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს), უზრუნველყოფდნენ, რომ სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მერვე დონის მოთხოვნებს და ეფექტურად უჭერდნენ მხარს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- სასწავლო პროცესში ჩართული და დაინტერესებული პირების გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უფრო თვალსაჩინო გახდეს კავშირი სამართლებრივი კვლევის მიდგომებისა და ინსტრუმენტების თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკულ მომზადებას შორის. ეს არის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რომელსაც მკვეთრად დადებითი წვლილი შეაქვს სტუდენტების სამეცნიერო მომზადებაში. ძალიან რელევანტური იქნებოდა გარკვეული ტექსტი, რომელიც ამ ურთიერთკავშირს წარმოაჩენდა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა მომავალი სტუდენტებისთვის, ვინაიდან არსებით ინფორმაციას მიაწოდებდა პროგრამის სასწავლო სარგებლისა და სწავლებისა და სწავლის მეთოდებს შორის კარგი ბალანსის შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა შეფასების სისტემის მარეგულირებელ ჩარჩოს ქმნის დაწესებულების აკადემიური საბჭო, რომელიც მოქმედებს დაწესებულების სადოქტორო დონის სწავლების ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, იგი ეხება ,,კრედიტების განაწილებას, რანჟირებას და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე საფასურის განსაზღვრას" (დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის დანართი #6). გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა (გვ.6) მოიცავს სტუდენტთა ცოდნის შეფასების ზოგადი მასშტაბების აღწერილობას/სისტემას. დაწესებულებაში მოქმედი და შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის შეფასების არსებული სისტემის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია პროგრამის მიმდინარეობის პროცესში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრულია, რომ სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო კომპონენტის ათვისება ითვალისწინებს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას და ეფუძნება მიღებული ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს. სამართლის სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და საბოლოო შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს დოქტორანტის ცოდნის ან/და უნარების ან/და კომპეტენციების შეფასების მეთოდს/მეთოდებს (ზეპირი/წერილობითი გამოცდა, ზეპირი/წერილობითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და ა.შ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების გაერთიანებულ მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიტუაციური ამოცანის (ქეისის) ამოხსნა და ა.შ.). პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტებში შეფასების მეთოდი/მეთოდები ძირითადად იზომება შეფასების კრიტერიუმებით ან შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც განისაზღვრება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს აქვს კონკრეტული წილი საბოლოო შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), რომელიც ასახულია კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. ზოგადი სურათისგან განსხვავებული მიდგომიდან გამომდინარე, ყურადღებას იმსახურებს სასწავლო კომპონენტი „ასისტენტობა“ (12 კრედიტი), რომელიც განსაზღვრულია და სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტი უნდა ასრულებდეს მე-2 - მე-9 სემესტრის შუა პერიოდში. ასისტენტობა სამართლის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის აქტიურ ჩართულობას სწავლებასა და კვლევაში. ასისტენტობის მიზანია სწავლებისა და კვლევის აკადემიურ პროცესებთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც დოქტორანტის წარმატებული აკადემიური კარიერის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების 2015 წლის 16 ივნისის No7 (იხ. მუხლები 7, 8 და 10) მარეგულირებელი აქტის თანახმად „სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების კრედიტების მინიჭების, დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე საფასურის განსაზღვრის შესახებ“, სტუდენტის შეფასებისთვის დადგენილია 100-ქულიანი სისტემა, ხოლო

კრედიტების მინიჭების აუცილებელი წინაპირობაა, სტუდენტი აკმაყოფილებდეს კურსის მოთხოვნებს და მიიღოს შეფასების სისტემით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებით შეფასება, ასისტენტობა კი როგორც სავალდებულო კომპონენტი, არ არის განსაზღვრული შესაბამისი სილაბუსით და შეფასების შესაბამისი მეთოდით. მოცემული საგანმანათლებლო კომპონენტის განსახორციელების მიზნით შემუშავებული კონცეფცია (იხ. დანართი 2) მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს სილაბუსის შინაარსს, ხოლო შეფასების ნაწილში იგი არსებითად შეუთავსებელია სტუდენტთა შეფასების ზემოაღნიშნულ მარეგულირებელ აქტთან და შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ „წესთან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის შესახებ". მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანების მიხედვით. კერძოდ, ასისტენტობის კონცეფცია მოიცავს დოქტორანტის საგანმანათლებლო საქმიანობას ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტების ცნებები (სადოქტორო კოლოქვიუმი, პროექტი, პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგი, სადოქტორო ნაშრომი), თუმცა არცერთ მათგანს არ აქვს მინიჭებული კრედიტი, რაც ასისტენტობას სრულიად განსხვავებულ პირობებში აყენებს. კონცეფციის მიხედვით, დოქტორანტი ახორციელებს ორი სახის ასისტენტობას: აკადემიური კურსების ფარგლებში და ასისტენტობა კვლევის პროცესში. აკადემიური კურსის ფარგლებში პროფესორის ასისტენტობის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დაესწროს პროფესორის მიერ ჩატარებულ ყველა ლექციას (საკონტაქტო საათებს). დოქტორანტი უნდა გაეცნოს ყველა ვიდეო ლექციას და მასალას, რომელსაც პროფესორი აწვდის მას. სტუდენტი ერთვება კვლევის პროცესის ასისტენტობაში სადისერტაციო პროექტის შესრულების შემდეგ და მოიცავს ისეთი აქტივობებს, როგორიცაა: სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, შეფასება (დოქტორანტს უფლება აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს მაქსიმუმ 1 სამაგისტრო ნაშრომს და თანახელმძღვანელობა – 2 სამაგისტრო ნაშრომს სემესტრის განმავლობაში, მოიძიოს კვლევის შესაბამისი ლიტერატურა/კვლევის წყაროები, მოახდინოს ანალიზი/მიმოხილვა და შეიმუშაოს კვლევის ინსტრუმენტები, შეაგროვოს და გაანალიზოს მონაცემები, რომელიც ექვემდებარება ხელმძღვანელის შეფასებას. კერძოდ, ასისტენტობის შეფასება მოიცავს მონიტორინგს (შერჩევითი შეფასება) და დოქტორანტის შეფასებას. ასისტენტობის შესრულებული აქტივობების შეფასება და კრედიტების მინიჭება ხდება ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ფორმით (ფორმა თან ერთვის კონცეფციას). ფორმის მიხედვით დოქტორანტის მიერ განხორციელებულ ასისტენტობის აქტივობებს ხელმძღვანელი აფასებს „დადებითად“ ან „უარყოფითად“, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და დაწესებულების შიდა პოლიტიკას. დებულებით დადგენილი წესები (იხ.: „სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების კრედიტების მინიჭების, რანჟირების და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე საფასურის გადახდის შესახებ“ 2015 წლის 16 ივნისის No7 ბრძანებულების მე-7, მე-8 და მე-10 მუხლები). ყველა სხვა შემთხვევაში, პროგრამის შემადგენელი თითოეული კურსი/კურსები, სილაბუსის მიხედვით, უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების ინდივიდუალური მეთოდებით, აქტივობებით და კრიტერიუმებით. სასწავლო კურსის თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით, ვლინდება, რომ აკადემიური პერსონალი (მათ შორის, მოწვეული პერსონალი) უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების შესაბამისობას მოცემული კურსის სწავლის შედეგებთან. პროგრამის კომპონენტების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ მასწავლებლებს მრავალწლიანი გამოცდილებით, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ დამსაქმებლის ან პარტნიორი დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო/კვლევით ტრენინგებსა და სემინარებში.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტების ნაწილში სტუდენტების შეფასების გასაჩივრება ექვემდებარება ზოგად საუნივერსიტეტო წესებს და

„სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების კრედიტების მინიჭების, რანჟირების და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე საფასურის განსაზღვრის" შესახებ 2015 წლის 16 ივნისის No7 დებულებით დადგენილ პირობებს. დებულების მე-9 მუხლის 1-6 პუნქტები დეტალურად არეგულირებს შეფასების გასაჩივრების პროცედურას, რითაც დიდწილად უზრუნველყოფს სტუდენტის ინტერესს, მიიღოს უკუკავშირი სწავლის შედეგებზე, ინფორმაცია მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესებაზე.

სტუდენტის კვლევითი ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით შეფასებისას დაწესებულებას გააჩნია აკადემიური სტილის განსაზღვრის, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმები. აღნიშნული საკითხით დაინტერესებული პირი ხელმძღვანელობს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის“ სტანდარტებით, რომელიც შემუშავებულია და გამოცემულია წიგნის სახით წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. აღნიშნული ნაშრომის პირველი ნაწილი მთლიანად ეძღვნება წყაროებთან მუშაობას და პლაგიატისგან თავის დაცვას. იგი სრულყოფილად აღწერს წყაროების ციტირებებს, პლაგიატის გამოვლენას და რეაგირების მექანიზმებს. რაც შეეხება პლაგიატს, სტუდენტს შეუძლია სადოქტორო დისერტაციის კონცეფციიდან გაეცნოს დისერტაციის სტილს, აკადემიურ და კვლევის ეთიკას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, წყაროზე მუშაობას, პლაგიატის პრევენციას, გამოვლენას და რეაგირების მექანიზმებს. კონცეფციაში ცალსახად წერია, რომ დისერტაცია შემოწმდება პლაგიატზე (მათ შორის, ელექტრონული სწავლებისა და ტურნიტინის საშუალებით) და პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მისი აღმოჩენის შემთხვევაში, დისერატაცია დისკვალიფიცირებული იქნება დაცვის პროცედურიდან, ხოლო დოქტორანტი გარიცხული იქნება პროგრამა აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამო. გარდა ზემოაღნიშნულისა, იურიდიული სკოლის სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო დებულება ითვალისწინებს პირობას (მუხლი 10.4), რომლის მიხედვითაც დოქტორანტი ხელმოწერით ადასტურებს დისერტაციის ავტორობას და რომ ის არ შეიცავს პლაგიატს. თუ დოქტორანტი დამნაშავედ ცნეს პლაგიატში ან მონაცემთა გაყალბებაში, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი (მუხლი 16.2).

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემით. კონკრეტულად, „სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების კრედიტების მინიჭების, რანჟირებისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე საფასურის განსაზღვრის შესახებ“ 2015 წლის 16 ივნისის №7 დადგენილების 92-ე და მე-18 მუხლები განსაზღვრავს დოქტორანტის დესერტაციის შეფასების ზოგად წესებსა და სისტემას. ამავე დადგენილების მე-20 მუხლი ითვალისწინებს დოქტორანტის უფლებებსა და მოსალოდნელ შედეგებს ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში. სადოქტორო დისერტაციის დაცვის წესები, მასთან დაკავშირებული დავების შემთხვევები, მათი გადაწყვეტა და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესები რეგულირდება სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს მიერ და სადოქტორო დებულებით, რომლის მიხედვითაც დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ნაშრომი ფასდება ერთხელ, საბოლოო შეფასებით. ნაშრომის დაცვა საჯაროა და ტარდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დისერტაციის შეფასება სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ ნაშრომის შეფასება ხდება წევრების მიერ განხილვისა და კონსენსუსის გზით. თეზისის შესაფასებლად გამოიყენება ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების დოკუმენტებში განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმები. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ესწრება დისერტაციის დაცვის პროცესს და ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტაციას. დაცვის ენა არის ქართული, თუ დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა პარტნიორობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია დისერტაცია ატვირთოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვიდან ერთი თვის ვადაში. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება

კონფიდენციალურად, ქულებით შეფასების სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისთვის დისერტაციის დაცვის კომისია გამოყოფს ქულების საშუალო არითმეტიკულს (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე). ნაშრომი ფასდება 5 დადებითი და ორი უარყოფითი შეფასებით. არასაკმარისი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა საშულება ერთი წლის ვადაში წარადგინოს გადამუშავებული ნაშრომი. არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე დისერტაციის წარდგენის უფლებას. დაწესებულებას ასევე დადგენილი აქვს დავის განხილვისა და გასაჩივრების პროცედურა უშუალოდ დოქტორანტებისთვის, კერძოდ, იურიდიული სკოლის სადისერტაციო საბჭოს მე-15 მუხლისა და დოქტორანტურის დებულების მიხედვით, სადოქტორო სწავლების პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი პრობლემა, სტუდენტის მიერ დეკანის სახელზე წერილობითი მიმართვის წარდგენის საფუძველზე, განხილული იქნება დარგობრივი კომისიის მიერ.

იურიდიული სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო დებულების მე-9 მუხლი განსაზღვრავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლებებსა და ფუნქციებს. ამასთან, გათვალისწინებულია ხელმძღვანელის დარგობრივი და უცხო ენის ცოდნის კომპეტენციები. ამავე დებულებით დასაშვებია მეორე ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოწვევა, მათ შორის უცხო ქვეყნის აკადემიური დაწესებულებიდან, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. დოქტორანტს უფლება აქვს მოითხოვოს სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (მუხლი 9.8). სამეცნიერო ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და კვლევითი თემის სპეციფიკას. სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს დასკვნას და გამოხმაურებას სადოქტორო დისერტაციაზე. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარს უჭერს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში, ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით.

იურიდიული სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მე-10 მუხლი ადგენს, რომ დოქტორანტმა დისერტაცია სკოლის ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს ელექტრონული ფორმით, საჭიროების შემთხვევაში კი ნაბეჭდი სახით. ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. დისერტაციის ინგლისურ ენაზე (გარდა ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისა) შესრულების საკითხს წყვეტს დარგობრივი კომისია. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ დისერტაციას ახლდეს განცხადება დაგროვილი კრედიტების შესახებ; დოქტორანტის ხელმოწერით დადასტურებული განცხადება, რომ დისერტაცია არის დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგი და არ შეიცავს პლაგიატს; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დასკვნა დისერტაციის დასაცავად მზადყოფნის შესახებ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი დარგობრივი კომისიის დასკვნები დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციის/პუბლიკაციების ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დისერტაციის წარდგენასა და დაცვასთან დაკავშირებული ვადები ასახულია ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შემუშავებულ კალენდარში/მატრიცაში.

სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო დებულების მე-12 მუხლის თანახმად, კომისიისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან დადებითი დასკვნების მიღების შემდეგ, გონივრულ ვადაში, დარგობრივი კომისია მიმართავს სკოლის საბჭოს სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და რეცენზენტების დანიშვნის მოთხოვნით (მინიმუმ 2). დაწესებულებას განსაზღვრული აქვს (დებულების 12.2 პუნქტი) რეცენზენტთა შერჩევის მოთხოვნები.

აღნიშნული დებულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ტანახმად, დისერტაციის დაცვა, დისერტაციის დაცვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, დრო, თარიღი) ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე ერთი კვირით ადრე. დისერტაციის დაცვის პროცესის ხანგრძლივობას და რეგულაციებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო. დაცვის პროცესი

მოიცავს დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენას, რეცენზიების მოსმენას, სამეცნიერო დებატებს და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას. პარტნიორობის, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში ნაშრომის დაცვის ორგანიზების საკითხი დარეგულირდება საერთაშორისო, ადგილობრივი ან პარტნიორობის ხელშეკრულებით. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას დოქტორანტს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა (პუნქტი 14.2). სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია დისერტაციის დაცვიდან ერთი თვის ვადაში დისერტაცია ატვირთოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმეტესად დასტურდება, რომ დაწესებულებაში შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც განისაზღვრება სწავლის შედეგების მიღწევის დონე, რაც ხორციელდება დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - Argus–ის და აკადემიური პერსონალის მეშვეობით. შესაბამისად, დასტურდება, რომ დისერტაციის დაცვა ხდება კომისიის წესით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 2015 წლის 16 ივნისის N7 დადგენილება სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების კრედიტების მინიჭების, რანჟირების და დამატებითი/განმეორებითი კურსების/კომპონენტებისთვის საფასურის დადგენის შესახებ
- სადისერტაციო საბჭო და დოქტორანტურის დებულება
- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები და სასაწავლო კომპონენტების ცნება
- პროგრამაში ჩართულ პირებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სასწავლო მასალების, სტატიების, დისერტაციისა და სხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის

რეკომენდაციები:

- სასწავლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტისთვის - „ასისტენობა“ (12 კრედიტი) რეკომენდებულია სილაბუსების შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება 100–ქულიანი შეფასების პირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტთა შეფასება	☐	X	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
2. სწავლების მეთოდოლოგია და	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერის მრავაფეროვან სერვისებს, რომლებიც დროულ ინფორმაციას აწვდიან დოქტორანტებს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკისა და მახასიათებლების შესახებ. პროგრამაში ჩარიცხვისას, სტუდენტებს ეძლევათ კონსულტირებისა და სხადასხვა ტიპის შესაძლებლობები:

- ახლად ჩარიცხულ დოქტორანტებს მოეთხოვებათ ხელშეკრულების დადება, რომელიც დეტალურად ასახავს სწავლის პირობებს და მონაწილე მხარეთა მოვალეობებს. როგორც გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამით, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ინდივიდუალურად თანამშრომლობს დოქტორანტთან, რაც პირველი კურსის ბოლოს სრულდება სადისერტაციო პროექტით. ამ უკანასკნელის საშუალებით დოქტორანტს შესაძლებლობა ეძლევა დაგეგმოს თავისი ინდივიდუალური კვლევა ან სხვა აქტივობები სწავლის შემდგომ პერიოდში, რაც პროგრამის დასასრულს მთავრდება სადოქტორო ნაშრომის წარდგენით.
- სადოქტორო კოლოკვიუმები ითვალისწინებს დოქტორანტების ინდივიდუალურ კვლევით საჭიროებებს, აწვდის მათ გამოხმაურებას კვლევის პროცესებზე სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან (ხელმძღვანელი, დარგობრივი კომისია, დამსაქმებლები და ა.შ.).
- დოქტორანტებს ასისტენტობის ფარგლებში ასევე სთავაზობენ ინდივიდუალურ, ერთი ერთზე ხელმძღვანელობას, რომლის მიხედვითაც მხარეები განსაზღვრავენ კონკრეტულ ამოცანებსა და აქტივობებს, რომლებიც უნდა შესრულდეს ასისტენტობის ფარგლებში.
- დოქტორანტები პირველივე დღიდან ერთვებიან საუნივერსიტეტო ელექტრონულ სისტემა „არგუსში“. პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტი ინახება სისტემაში მათი სტატუსის მიხედვით. ,,არგუსის" სისტემა ხელს უწყობს სტუდენტსა და ლექტორს შორის ინტერაქციას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მოიძიოს ონლაინ კონსულტაცია მისთვის საინტერესო თემებსა თუ კურსებზე.
- „არგუსის“ სისტემაში ინახება დოქტორანტის შეფასების მონაცემები მთელი სემესტრის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს მათ რეგულარულ განახლებას აკადემიური მოსწრების მიხედვით. დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ დროული კონსულტაციები მიიღონ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტისა და კოორდინატორისგან პროგრამასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ბიბლიოთეკა სისტემატურად ატარებს ტრენინგებს, რათა ასწავლოს მომხმარებლებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების (eLearning პლატფორმა, ელექტრონული

მონაცემთა ბაზები) გამოყენება. ვებგვერდზე იდება რეგულარული სიახლეები, რის შესახებაც დოქტორანტებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

- დოქტორანტის კვლევით საქმიანობას მხარს უჭერენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის კვლევის კოორდინაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების ოფისები. ოფისები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ დოქტორანტებს ინფორმირებას საქართველოში/საზღვარგარეთ მიმდინარე პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ.

გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, უნივერსიტეტი იძლევა დოქტორანტების საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოელი მკვლევართა და პროფესორთა მობილობას და მხარს უჭერს სპეციალისტებს შორის კავშირებს შესაბამის კვლევით სფეროებში; ოფისმა შეიმუშავა ორმაგი დოქტორის ხარისხის მისაღებად საჭირო პროცედურები და საბუთების ნიმუში, მათ შორის ჩარჩო ხელშეკრულება და ერთობლივი ხელმძღვანელობის ხელშეკრულება. განვითარების ოფისი ხელს უწყობს დოქტორანტებისა და მკვლევარების ჩართვას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების მოპოვებასა და მოზიდვას; განვითარების ოფისი უზრუნველყოფს მხარდაჭერის სერვისებს, როგორიცაა საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში დახმარება, საერთაშორისო კონსორციუმის შექმნა, გრანტების მართვა, ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაძლიერება, საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტების მხარდასაჭერად უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიური წერის სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, განვითარებასა და განხორციელებაზე. ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია აკადემიური წერის უნარების განვითარებასთან. ამ მიზნით ცენტრი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს: - დარეგისტრირდნენ ცენტრის სემინარებზე, რომლებიც სინქრონიზებულია ცენტრის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო კომპონენტებთან და მიიღონ დამატებითი დახმარება აკადემიური წერის უნარების განვითარებაში; - გამოიყენონ აკადემიური წერის ცენტრის მიერ შექმნილი ონლაინ რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი. ცენტრში დასაქმებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სტუდენტებს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას უწევენ. ცენტრი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომლებმაც დაამთავრეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა. ისინი სტუდენტებს სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებას უახლესი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების გამოყენებით, რეგულარული მეთვალყურეობის ქვეშ. ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც სურს დახმარება და მხარდაჭერა გავრცელებულ ფსიქოსოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა შფოთვა, ცუდი განწყობა, ფობიები, ურთიერთობის პრობლემები და სტრესთან დაკავშირებული სხვადასხვა პირობები, შეუძლია ისარგებლოს საკონსულტაციო ცენტრის მომსახურებით. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს და მეთვალყურეობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus+) და უზრუნველყოფს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს უნივერსიტეტის დოქტორანტებისთვის. ზემოაღნიშნულ კონტექსტში, ოფისი დოქტორანტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს:

- უზრუნველყოფს ინფორმაციის უწყვეტ წვდომას ვებგვერდის, „არგუსის“, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით;
- რეგულარულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან; დაინტერესებულ სტუდენტებს უწევს პერსონალურ კონსულტაციას;

- ეხმარება დოქტორანტებს ფაკულტეტებთან სასწავლო კონტრაქტების დადებაში;
- გამგზავრებამდე საორიენტაციო შეხვედრებს ატარებს გამარჯვებული დოქტორანტებისთვის;
- უზრუნველყოფს შესაბამისი ოფიციალური კორესპონდენციის მომზადებას და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება სტუდენტური ვიზის განაცხადების მომზადებაში;
- უზრუნველყოფს დოქტორანტების კარგად ინფორმირებას საუნივერსიტეტო პროცედურების შესახებ;
- მხარს უჭერს დოქტორანტებს მობილობის მთელი პერიოდის განმავლობაში და საჭიროებისამებრ განიხილავს ნებისმიერ პოტენციურ საკითხს.
- საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი დოქტორანტებს ინფორაციას აწვდის სხვადასხვა საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ (ზაფხულის სკოლები, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფერენციები, სტაჟირება და ა.შ.).

სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ასამაღლებლად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მემორანდუმები გააფორმა ევროპის უნივერსიტეტებთან. კონკრეტულად, პროგრამის შემუშავების პროცესში სპეციალური შეთანხმებები დაიდო ორ ევროპულ უნივერსიტეტთან, რომელთა წარმომადგენლები ჩაერთნენ საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში. ეს უნივერსიტეტები ასევე აქტიურად ჩაერთვებიან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სამართლის სადოქტორო პროგრამების სტუდენტების მიღებისას, კერძოდ: „ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი“, კაუნასი, ლიეტუვა და მიკოლას რომერისის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიეტუვა. ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ინიციატივებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ ვრცელდება ვებგვერდის, „არგუსის“, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური მედიის პლატფორმების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კვლევის კოორდინაციის, განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისების შინაგანაწესი;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები;
- ელექტრონული შერჩევის პროვაიდერის სისტემა ,,არგუსი" -https://argus.iliauni.edu.ge/ka
- ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა პირადი საქმეები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა https://library.iliauni.edu.ge/
- აკადემიური წერის ცენტრი https://writingcentre.iliauni.edu.ge/en/
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში (ხელმისაწვდომია ფაკულტეტზე);
- სტუდენტთა ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი.

რეკომენდაციები:

○ არ მიეთითება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	x	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის წესდების თანახმად, დოქტორანტს დაენიშნება კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც არის უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და დოქტორანტის კვლევითი სფეროს შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება, აღჭურვილია უახლესი ცოდნითა და გამოცდილებით, აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც დოქტორანტის სადესერტაციო საგნის/თემის/მიმართულების რელევანტურია. ასევე, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელსაც უკავია აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა და ფლობს დოქტორის ხარისხს. საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულების პირობებით, ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება აქვს ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს მოწვეული პირი სხვა, მათ შორის უცხოური აკადემიური დაწესებულებიდან. სამართლის სადოქტორო პროგრამას ჰყავს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრები ასრულებენ სადოქტორო დისერტაციის თანახელმძღვანელების ფუნქციას. სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები შემდეგია:

- სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგულარულად ატარებს კონსულტაციებს დოქტორანტთან.
- საკონსულტაციო სესიების სიხშირე შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და საკვლევ თემას.

კონსულტაცია მოიცავს შემდეგს: პერიოდულ გამოხმაურება და რეგულარულ განახლებები დოქტორანტის პროგრესის შესახებ, ზოგადი სამეცნიერო რეკომენდაციების მიწოდება, კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის შერჩევაში ხელმძღვანელობა, მხარდაჭერა კვლევითი პროექტის მართვაში და დისერტაციის/სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის მომზადებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში ინტეგრირებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (მათ შორის სადოქტორო კოლოკვიუმებში) მონაწილეობაში, კვლევის შედეგების წარდგენასა და შედეგებისა და სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებაში მხარდაჭერა.

- სამეცნიერო ხელმძღვანელი წარადგენს დასკვნას/შემაჯამებელ ანგარიშს და უკუკავშირს სადოქტორო ნაშრომზე.

პროგრამაზე დასაშვები სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა მიღების კვოტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით, რომელიც განსაზღვრავს, რომ თითოეულ პოტენციურ ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად ყავდეს მაქსიმუმ 8 სტუდენტი, მათ შორის როგორც მაგისტრატურაში, ასევე დოქტორანტურაში. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები გულისხმობს სადოქტორო ნაშრომის კომპონენტის შეფასებას, რაც ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის პროცესის შეფასებას. ამავე მექანიზმების მიხედვით, შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტები (სტუდენტური კითხვარები) ხელმძღვანელობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ

მონაცემების შესაგროვებლად. შეგროვებული მონაცემების გაანალიზების შემდეგ ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება; იდენტიფიცირებული საჭიროებებიდან გამომდინარე კი დგინდება შესაბამისი ინტერვენციები/ზომები.

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	7
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	5
თანაფარდობა	1:0.7

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ელექტრონული შერჩევის პროვაიდერის სისტემა ,,არგუსი" - https://argus.iliauni.edu.ge/ka
- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები/გაიდლაინები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის სადისერტაციო საბჭოს წესდება;
- პროგრამის განხორციელების შეფასების პოლიტიკა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ მიეთითება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა	**x**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ადამიანური რესურსების თვალსაზრისით უზრუნველყოფს შემოთავაზებულ სასწავლო ვალდებულებებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, მათ შორის აფილირებულ ექსპერტებსა და პროგრამაში მოწვეულ პირებს, ისევე როგორც პროგრამაში ჩართულ ადმინისტრაციულ პერსონალს შორის კარგ ბალანსს პროგრამის განსახორციელებლად. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან პროგრამის მიზანი მორგებული უნდა იყოს მისი განმახორციელებლი დაწესებულების დატვირთვის შესაძლებლობებზე; ამ თვალსაზრისით ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოთავაზება თანმიმდევრულია იმ შესაძლებლობებთან, რაც დაწესებულებას გააჩნია მოცემულ ეტაპზე.

პროგრამის შეუფერხებლად წარმართვა მოითხოვს სამი დაინტერესებული სექტორის ჩართულობას და კოორდინაციას: კვლევის წარმმართველი აკადემიური პერსონალი, აფილირებული და მოწვეული პერსონალი (ადგილობრივი და უცხოელი) და ადმინისტრაციული პერსონალი. წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფს სამივე სექტორის შესაბამის ჩართულობასა და კოორდინაციას. ამგვარად,

- პროგრამის ხელმძღვანელების შერჩევა განხორციელდა სამეცნიერო კრიტერიუმებისა და აკადემიური ხარისხის მიხედვით. ყველა მათგანს გააჩნია პროგრამის სასწავლო ვალდებულებების განსახირციელებლად საჭირო მეცნიერული და პიროვნული თვისებები, მათ გამოავლინეს თავიანთი უნარები და მტკიცე ნება მის განსახორციელებლად. ეს პუნქტი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან მათი აკადემიური და ადამიანური შესაძლებლობები და მათი მტკიცე ნება, რომ თავდადებით ემსახურონ სასწავლო – კვლევითი კომპონენტების განხორციელებას (რაც დიდი კეთილშობილების გამომხატველია აქტია) უდავოდ პირველი აუცილებელი ელემენტია პროგრამის

წარმატებით განხორციელებისთვის.

- ეს მზაობა ასევე გამოიკვეთა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გამართულ გასაუბრებებში. პერსონალს გააჩნია საჭირო ხარისხი და კვალიფიკაცია, რათა სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები სადოქტორო პროგრამის სათანადოდ განვითარებისა და წარმართვისათვის. ამ კუთხით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გამართულ გასაუბრებებში ასევე ხაზგასმით გამოიკვეთა მათი შესანიშნავი მზაობა და ერთგულება მაღალი ხარისხის სწავლების განსახორციელებლად.
- პროგრამაში ჩართულ მკვლევართა რაოდენობა სრულიად პროპორციულია იმ სტუდენტების რაოდენობასთან, რომლებიც შეძლებენ პროგრამაში მონაწილეობას, რაც მისი წარმატებისა და უწყვეტობის გარანტია უნდა იყოს. ეს პროპორციულობა ასევე არის სტუდენტების მონიტორინგისა და კვლევით ტრენინგებში მათი თანხლების გარანტია.
- პროგრამაში ჩართული თითოეული სექტორის ფუნქციები და დატვირთვა და სხვადასხვა ეტაპზე მათი ჩართულობა კარგად არის დაპროგრამებული და სწორადაა მოდიფიცირებული.
- აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან ასევე კორექტულია. აღსანიშნავია ამ უკანასკნელი სექტორების მონაწილეობა და პროგრამის წარმდგენი უნივერსიტეტის ძალისხმევა ამ მონაწილეობის გარანტირებისთვის. მათ შეიძლება შეასრულონ ერთეულების ფუნქცია, რომლებიც დადებითად უწყობენ ხელს სტუდენტების მეცნიერულ მომზადებას, რადგან მათ შეუძლიათ შესთავაზონ მათ განსხვავებული პერსპექტივები, ახალი ელემენტები და კრიტერიუმები რეფლექსიისთვის, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მათ კვლევაში და მათ მკვლევარებად მომზადებაში.

რომ შევაჯამოთ რაც ზემოთ ითქვა, ძალიან მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ

➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისგან, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევაში.
➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხდებლად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე პროგრამის სასწავლო სფეროს შესაბამისი კომპეტენციები. ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობის შესაბამისად. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო წლებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით. ამრიგად, პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისგან.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	21	14	11	5
- პროფესორი	5	-	4	5
- ასოცირებული პროფესორი	2	-	2	2
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	14	-		_
სამეცნიერო პერსონალი	-		-	_

პროგრამას აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადექვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (სტუდენტების პოტენციური რაოდენობა დაახლოებით ხუთია. შესაბამისად, სტუდენტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელის დატვირთვას). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; შესაბამისად, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელები კვალიფიციური პირები არიან და ფლობენ შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV-ები და დიპლომები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ მიეთითება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოქტორანტურის (პოტენციურ) სტუდენტებს ეყოლებათ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო გამოცდილება სასწავლო სფეროში. უმაღლეს სასწავლებელს აქვს გამჭვირვალე მოთხოვნები ხელმძღვანელების მიმართ, რაც პასუხობს პროგრამის სპეციფიკას. დოქტორანტების ხელმძღვანელებს აქვთ უახლესი ცოდნა და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტურის დონის ხელმძღვანელობას. შესაბამისად, კვლევის ხელმძღვანელებს (დირექტორებს), რომლებიც ახორციელებენ სადოქტორო დისერტაციას, გააჩნიათ ამ პასუხისმგებლობის განსახორციელებლად საჭირო სამეცნიერო უნარები, ღირებულებები და კვალიფიკაცია. ეს დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე კვლევითი ცენტრების პასუხისმგებელ პირებთან და მომავალში განსახორციელებელი დისერტაციების პოტენციურ ხელმძღვანელებთან გასაუბრებებით.
ანალოგიურად, ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის შეუფერხებლად წარმართვაზე, ასევე აქვს აუცილებელი თვისებები და შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოს პროგრამის შეუფერხებელი წარმართვა და სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული დახმარების გაწევა, რაც საჭირო გახდება კურსისა და სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს.
რაც შეეხება ზოგადად საშუალებებს, უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის კარგად განვითარებისა და სტუდენტების კარგად მომზადებისთვის საჭირო მატერიალური, ფიზიკური და ტექნიკური საშუალებები.
შემოთავაზებული ინტერნაციონალიზაცია, გარე ფაკულტეტთან თანამშრომლობა (მათ შორის თანახელმძღვანელობა და საჭიროებისამებრ, აღიარებული უნივერსიტეტების პრესტიჟულ მეცნიერებთან თანამშრომლობა), ჯეროვნად შერჩეული მომიჯნავე ფაკულტეტისა და მოწვეული ფაკულტეტის ჩართულობა ის ელემენტებია, რომლებიც აძლიერებენ პასუხისმგებლიანი ფაკულტეტის ხარისხის დემონსტრირებას დოქტორანტების ხელმძღვანელობის საკითხში.
თუმცა, ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს პროგრამაში არსებული შეუსაბამობა, რომელიც უნდა გამოსწორდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში ემერიტუს პროფესორები მოხსენიებულნი არიან, როგორც საბოლოო სამეცნიერო ხელმძღვანელები, 3.2. პუნქტში, რომელიც ასევე ეხება კვალიფიციურ ხელმძღვანელებს, არ არის ნახსენები ემერიტუს პროფესორები. უპრიანი იქნებოდა ამ ორი პუნქტის კოორდინაცია და ამ მხრივ ერთიანი კრიტერიუმის დადგენა.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური

		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	**პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტოტო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**	**11**	**5**
- პროფესორი	5	-	5
- ასოცირებული პროფესორი	2	-	2
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	14	5	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის დროს ჩვენ გამოვავლინეთ ერთი საკითხი: თვითშეფასების ანგარიშში (SER) ნათქვამია, რომ არის 10 საერთაშორისო თანახელმძღვანელი, რომელთაგან ერთ–ერთი ასრულებს ამჟამინდელი შეფასების ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციას. თუმცა, ეს პირი არ იყო ინფორმირებული მისი თანახელმძღვანელობის შესახებ, რაც ასევე გამოიკვეთა ძირითად შედეგებში. ეს უშვებს შესაძლებლობას, რომ დანარჩენმა თანახელმძღვანელებმაც შესაძლოა არ იცოდნენ თავიანთი როლების შესახებ ამ შეთანხმებაში.
ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ თანახელმძღვანელს, რომელიც ასრულებს შეფასების ჯგუფის თავმჯდომარის როლს, არ ჰქონია ურთიერთობა უნივერსიტეტთან და ფაკულტეტთან, რომელიც წარმოადგენს პროგრამას, და რომ მისი ჩართვა დოქტორანტურის პროგრამის თანახელმძღვანელთა სიაში მოხდა დაწესებულების ინიციატივით, წინასწარი შეთანხმების გარეშე. შესაბამისად, მოცემული შეფასების პანელის პრეზიდენტი მოქმედებდა სრულიად დამოუკიდებლად და ყოველგვარი შეუსაბამობის გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, აცნობოთ თანახელმძღვანელებს პროგრამით გათვალისწინებულ სიაში მათი ჩართვის შესახებ. სასურველი იქნებოდა, რომ პროგრამის წარდგენამდე ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს ეცნობებინათ თანახელმძღვანელებისთვის წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში მათი ჩართვის შესახებ.
- უნდა აღინიშნოს პროგრამაში არსებული შეუსაბამობა, რომელიც გამოსასწორებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში ემერიტუს პროფესორები მოხსენიებულნი არიან, როგორც საბოლოო სამეცნიერო ხელმძღვანელები, 3.2. პუნქტში, რომელიც ასევე ეხება კვალიფიციურ ხელმძღვანელებს, ემერიტუს პროფესორები ნახსენები არ არიან. ჩვენი რეკომენდაციით, სასურველია მოხდეს ამ ორი პუნქტის კოორდინაცია და ამ მხრივ ერთი კრიტერიუმის ჩამოყალიბება. ეს შეუსამაბობა უნდა გამოსწორდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტების და დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	☐	X	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის პერსონალის კმაყოფილების კვლევების შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების კვლევით საქმიანობას მხარს უჭერს უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილება. კვლევის კოორდინაციის ოფისი და განვითარების ოფისი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის საკითხში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტმა 2022 წელს დააარსა სივრცე „ჰორიზონტი ევროპა“. ეს ინიციატივა, რომელსაც კოორდინაციას უწევს კვლევების საკოორდინაციო ოფისი, მიზნად ისახავს კვლევით ჯგუფებს შეუქმნას მეტი შესაძლებლობები, რათა წარმატებით მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ევროპულ საგრანტო პროექტებში და განავითარონ კონკურენტული საპროექტო განაცხადები. ასევე, დაწესებულება თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო დონორებთან, როგორიცაა ევროკომისია, ჰორიზონტი 2020, ჰორიზონტი ევროპა, ერასმუს +, ტემპუსი, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს კვლევისა და განვითარების ფონდი, ბოტანიკური ბაღების მცენარეთა კონსერვაციის სამეცნიერო საბჭო, აშშ სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდი (CRDF), ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (SNSF), ევრაზიის ფონდი, საერთაშორისო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი, Volkswagen ფონდი, აშშ საელჩო საქართველოში, ნატო, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი (ASCN), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (GIZ) და ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტები. აღსანიშნავია, რომ ბოლო 12 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 264 გრანტი, საიდანაც 33% კვლევითი გრანტია.

საჭიროებისამებრ, ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა აქტივობა აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისთვის. დაწესებულება უზრუნველყოფს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისთვის, შესაბამისად, დაწესებულება ხელს უწყობს დოქტორანტის ხელმძღვანელების მონაწილეობას კვლევებსა და კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის წესდება;
- ვებგვერდი [https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/axali-ambebi-36/times-higher-education-2025-wlis- universitetebis-reitingshi-ilias-saxelmwifo-universiteti-qveynis-masshtabit-kvlav-pirvel-adgilzea.page];
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები: არ მიეთითება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს პროგრამის სათანადოდ განხორციელებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი კომპონენტები: ინფრასტრუქტურა - სივრცე, რომელიც აუცილებელია სტუდენტებისთვის კვლევის ჩასატარებლად, თანამედროვე ონლაინ და მატერიალურ-სამართლებრივი გამოცემებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა. სასწავლო სივრცეები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებითა და ტექნოლოგიური რესურსებით.

ბიბლიოთეკის წიგნებისა და ელექტრონული რესურსების კოლექცია შეესაბამება კურსის სილაბუსებში მითითებული აუცილებელი საკითხავი ლიტერატურის ჩამონათვლებს. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ყველა საჭირო მასალაზე როგორც ბეჭდური, ისე ციფრული სახით. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ სასწავლო მასალებზე სკოლის პროგრამული სისტემის Argus-ის მეშვეობით. ,,არგუსი" ასევე წარმოადგენს სტუდენტებსა და

აკადემიურ პერსონალს შორის კომუნიკაციის პლატფორმას.
სტუდენტებსა და თანამშრომლებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე, როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ასევე დისტანციურად. მონაცემთა ბაზებში შედის Lexis Nexis, Scopus და სხვა. სტუდენტებს აქვთ წვდომა საკანონმდებლო მაცნეზე. უნივერსიტეტი ასევე იყენებს Turnitin პროგრამას პლაგიატის შესამოწმებლად, რომელიც აუცილებელი კომპონენტია სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის.
სამართლის სკოლა აწარმოებს EBSCO-ს მონაცემთა ბაზაში ინდექსირებულ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალს "Constitutional Law Review," სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ თავიანთი სტატიები კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სკოლის სამი კვლევითი ცენტრიდან ერთ-ერთის კვლევით საქმიანობაში სამართლის შესაბამის სფეროში; ესენია: კონსტიტუციური კვლევების ცენტრი, კორპორაციული და კომერციული სამართლის ცენტრი და იუსტიციის განვითარებისა და იურიდიული განათლების ცენტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსის სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები http://library.iliauni.edu.ge
- საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრების შედეგები
- დაწესებულებაში ვიზიტი
- რეკომენდაციები: **არ მიეთითება**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4 მატერიალური რესურსები	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტს სრულად დააფინანსებს უნივერსიტეტი 3-დან 5 სასწავლო წლამდე, სტუდენტებს არ მოუწევთ რაიმე საფასურის გადახდა. ბიუჯეტიდან პროგრამისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ფინანსურად შესაძლებელია და უზრუნველყოფს პროგრამის

მდგრადობას. დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის ბიუჯეტი იქნება 35 000 ლარი, რაც მოიცავს სწავლებასთან დაკავშირებულ სახელფასო ხარჯებს, ლიტერატურას და სხვა საბიბლიოთეკო რესურსებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის განახლებასა და შენარჩუნებას, ადმინისტრაციულ ხარჯებს, ოფისის მოვლის ხარჯებს და ა.შ. ბიუჯეტის ჩანაწერის მიხედვით, „პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო კურიკულუმის სისრულეს განსაკუთრებულად უწყობს ხელს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ საბიუჯეტო პროექტში. ამიტომ, მოცემული სადოქტორო პროგრამა არ საჭიროებს დამატებით ფინანსურ ხარჯებს. ფაკულტეტის ბიუჯეტში შედის კონფერენციების, პუბლიკაციებისა და სხვა სამეცნიერო ხარჯები, რომლებიც ანაზღაურდება საბაკალავრო (ბაკალავრიატი) და სამაგისტრო (მაგისტრატურა) კომერციული პროგრამების ხარჯზე. საბიბლიოთეკო რესურსების განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები, ისევე როგორც ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოვლის ხარჯები, გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ფარგლებში. დამატებითი მოთხოვნების შემთხვევაში, პროგრამისთვის საჭირო ნებისმიერი ხარჯი დაფინანსდება ფაკულტეტის ან/და უნივერსიტეტის პირველადი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.“. ფინანსური რესურსების გამოყოფა შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციებ
ი: არ მიეთითება

რჩევები პროგრამების
განვითარებისთვის: არ მიეთითება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**X**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის (QA) პროცესი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება „დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე“ ციკლის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, დამტკიცებას და მუდმივ შეფასებას საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით. ეს ციკლი მოიცავს შეფასების ფაზას, რომელიც აგროვებს უკუკავშირს სტუდენტებისგან, პროფესორებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან გამოკითხვებისა და რეგულარული მონიტორინგის მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (QAS) ამ მონაცემებს იყენებს პროგრამების, სწავლების მეთოდებისა და სასწავლო რესურსების დახვეწისთვის. კურსის სილაბუსების განახლება ხდება აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით რეგულარული შეხვედრებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და შესაბამისობას უკუკავშირთან.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი კარგად არის სტრუქტურირებული და უზრუნველყოფს სწავლებისა და პროგრამის შემუშავების მუდმივ გაუმჯობესებას. პროცესში მრავალი დაინტერესებული მხარის გამოხმაურების ჩართვით, უნივერსიტეტი უფრო სიღრმისეულად ახდენს შეფასებებს. თუმცა, ამ პროცესის წარმატება დიდწილად ეყრდნობა ყველა მხარის აქტიურ მონაწილეობას და სწრაფ უკუკავშირს. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ დამსაქმებლები მონაწილეობენ პროგრამის შეფასებაში, თუმცა ერთ–ერთმა აღნიშნა, რომ მას არ მიუღია კითხვარი უნივერსიტეტისგან, რაც მიუთითებს უკეთესი კომუნიკაციის საჭიროებაზე. გარდა ამისა, შიდა შეფასების მექანიზმებთან ერთად, მეტი გარე შეფასების ინტეგრირებამ შეიძლება ღირებული შეხედულებები მოგვაწოდოს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

საერთო ჯამში, ეს მიდგომა ხელს უწყობს ადაპტირების უნარისა და ხარისხის ამაღლებას, რაც მას განამტკიცებს და ამზადებს როგორც მიმდინარე, ისე მომავალი გამოწვევებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გაიდლაინები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების პოლიტიკა;
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ფოკუს ჯგუფების ანგარიშები
- დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში

რეკომენდაციებ

o: არ მიეთითება

რჩევები პროგრამების
განვითარებისთვის: არ მიეთითება

შეფასება
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 ხარისხის შიდა შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავისი პროგრამების გარე ხარისხს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გზით. სამართლის სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა კვლევა, რათა გაეგო დამსაქმებლების გამოცდილება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის კუთხით, გაცნობოდა დამსაქმებლების მოთხოვნებს მოცემულ სფეროში და შეეგროვებინა პროგრამის გასაუმჯობესებლად გაცემული რეკომენდაციები. დამსაქმებლების გამოხმაურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის დახვეწაში და აძლიერებს მის შესაბამისობას სამუშაო ბაზართან.

უნივერსიტეტის მიდგომა ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიმართ ეფექტურია. თუმცა, ეროვნული სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და ექსპერტთა უფრო ფართო სპექტრის შეხედულებების გასაცნობად, რეკომენდებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა. გარდა ამისა, ექსპერტთა რჩევების სრულად გათვალისწინებამ შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს პროგრამის ხარისხი. მთლიანობაში, სისტემა მხარს უჭერს უწყვეტ განვითარებას და გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შეფასების შედეგები;
- განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება;
- ხარისხის გარე შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- იგასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციებ
o:
არ მიეთითება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გარე ექსპერტების რეგულარული ჩართულობის შემოღება, რაც უზრუნველყოფს

მიმდინარე, მრავალფეროვან შეხედულებებს, რომლებიც დაეხმარება პროგრამებს დარგის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის შენარჩუნებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტია შეფასების პროცესში, რადგან იგი გულისხმობს პროგრამის უწყვეტი გადახედვის პროცედურის დაწესებას, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მის მიერ შემოთავაზებული მომსახურების განახლებისა და გაუმჯობესების მიზანს. მონიტორინგისა და გადახედვის პროცესის სწორად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია პროგრამაში ჩართული სხვადასხვა აქტორის (აკადემიური, ადმინისტრაციული, სტუდენტური და გარე აქტორები) მონაწილეობა და კოორდინაცია. მოწოდებული მტკიცებულებებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ სხვადასხვა სექტორთან გამართულ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამა ადგენს პროცედურასა და მექანიზმებს მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების უზრუნველსაყოფად.
ამ თვალსაზრისით ჩამოყალიბებულია თითოეული ჩართული სექტორის კომპეტენციები, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროცესში სხვადასხვა აქტორის მონაწილეობა, გასათვალისწინებელი სფეროები და პროცედურის შედეგების ანალიზი, შესწავლა და შეფასება გარანტირებულია. ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგი მოიცავს პროგრამის ყველა ასპექტს, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია მივიღოთ ფართო, მრავალსექტორული შედეგები, რაც სათანადო გაანალიზების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სრულფასოვან მონიტორინგს და, საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის გაუმჯობესებას და სადოქტორო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

შესაბამისად, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში აქტიურად მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები და დამსაქმებლები. პროგრამასთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (QAS) რეგულარულ გამოკითხვებს ატარებს სტუდენტებს, პროფესორებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის. ეს მონაცემები მხარს უჭერს უწყვეტ მონიტორინგს და შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში კორექტირების შემოთავაზებით. ხუს–ი და პროგრამის ხელმძღვანელები ერთობლივად მუშაობენ,

რათა უზრუნველყონ, რომ პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, აფასებენ სწავლის შედეგებს და აგვარებენ ნებისმიერ გამოვლენილ პრობლემას. თუმცა, დოკუმენტაციის განხილვამ გამოავლინა უზუსტობა სამიზნე ნიშნულებსა და სწავლის შედეგების გასაზომად გამოყენებულ კურსებს შორის, რაც უნივერსიტეტმა დაადასტურა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი სრულფასოვანია, მასში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე შეფასების დროს. რეგულარული გამოკითხვები და უკუკავშირის მექანიზმები განაპირობებს პროგრამას აკადემიურ და ინდუსტრიულ სტანდარტებთან შესაბამისობას. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხუს-ს შორის თანამშრომლობის გაღრმავებამ შეიძლება გააუმჯობესოს იდენტიფიცირებულ საკითხებზე რეაგირების პროცედურა, რაც განაპირობებს პროგრამის უფრო ეფექტურ გაუმჯობესებას. ადგილზე გასაუბრებით ასევე დასტურდება, რომ დოქტორანტები აფასებენ სამეცნიერო კვლევით კომპონენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გაიდლაინები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების პოლიტიკა;
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები

: არ მიეთითება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის ეფექტურობის გასაძლიერებლად, სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა. ეს პარტნიორობა ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების უფრო დროულ იდენტიფიცირებასა და გადაჭრას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

განვითარების შესაძლებლობები	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სამართლის სადოქტორო პროგრამა; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐